40
965.

7

1965

# პიონერი



140
57
ეროვნული
ბიბლიოთეკა




ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიწყო გამოცდები... ვინ არ მდგარა აცახცახებული საკლასო ოთახის კართან—გამოცდის მოლოდინში, რამდენს განუცდია ხუთიანის მიღებით გამოწვეული დიდი სიხარული. არადამაკმაყოფილებელი პასუხით გულნატკენებიც თავჩაღუნული გამოსულან კლასიდან.

ერთი სიტყვით, გამოცდები ღელვაა, მოლოდინია, სიხარულია და, ამდენად, თავისებურად მიმზიდველიცაა.

ივნისის ერთ მზიან დღეს, გახურებული გამოცდების დროს, ჩვენი ფოტოკორესპონდენტი ო თ ა რ  თ უ რ ქ ი ა ეწვია თბილისის 61-ე საშუალო სკოლას და რამდენიმე კადრი გადაიღო. ამ

საცაა დაიწყება გამოცდა. დაფიქრებულნი, ოდნავ ნირშეცვლილნი დგანან ბავშვები. ორიოდე საათის შემდეგ კი სახე შეეცვლება ყველას, ზოგი სახეგაბადრული იქნება, ზოგი ალბათ მოიწყენს. რას იზამ, გამოცდა — გამოცდაა!

აბა, გამოიცანით,
რა ნიშნები მიიღეს





ელგუჯა ელიზბარაშვილმა დაამთავრა გამოცდა, მაგრამ, ნეტავ, როგორია სხვების საქმე?! არ გინდა მოთმენა, ვიდრე გამოვლენ?!



ბიჭი სდუმს, მაგრამ ეს უცოდინარობის დუმილი როდია, იგი აზრს იკრებს; ამიტომაა, რომ სამივეს მშვიდი სახე აქვს — მასწავლებლებსაც და მოსწავლესაც.

# გამოცდები

ფოტო ოთარ თურქიასი



ლამარა ელბაქიძე და ციალა ლაზარაშვილი გამოცდაზე გასვლის წინ ერთხელ კიდევ ამოწმებენ თავიანთ ცოდნას.

ფოტოსურათებით თქვენ კარგად მიხვდებით, რომ სკოლაში იმ დღეს თავისებურად დაძაბული, მაგრამ საზეიმო განწყობილება სუფევდა.

მოსწავლეთა დიდმა უმრავლესობამ წარმატებით ჩააბარა გადასასვლელი გამოცდები და ახლა პიონერთა თუ ტურისტულ ბანაკებში, კურორტებსა თუ სოფლებში ისვენებენ, იკაჟებენ სხეულს.

საქართველოს ალკკ ცენტრალური
კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის სახელობის
პიონერთა ორგანიზაციის
რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური
საბავშვო ჟურნალი
პიონერი
7 · ივლისი · 1968
გამოცემის XXXIX წელი.

# მე ჩემი ექვსი დანაშაული

კარლო კობერიძე

მხატვარი ზურაბ მეძმარიაშვილი

ჭიშკარი გავაღე და ეზოში შევიხედე. ოტია წიწილებს მიერეკებოდა საქათმისკენ:

— ვაჰ!.. ქშიი!.. სად ოხრობაში მიხვალ!

— ოტია! — დავუძახე.

დამინახა. დააგდო სახრე და გამოიქცა.

— ბიჭოს, — აქლოშინებული მომვარდა, — შემოდი, კაცო, რა შორიდან იძახი! — ხელი გამომიწოდა ჩამოსართმევად. მე კი... მე კი, რაც ძალი და ღონე მქონდა, გავუქანე და სახეში ვთხლიშე. დაბარბაცდა. მინდოდა ერთიც მომერტყა, მივიწიე კიდეც, მაგრამ მის გაოცებულ თვალებს წავაწყდი და გამოვტრიალდი.

ეს იყო ჩემი მეექვსე დანაშაული, რომელიც იმ კვირა დღეს ჩავიდინე...

ჩვენ ყველანი, ალბათ, სულ ცოტა, თითო სიცრუეს მაინც ვამბობთ ყოველდღე. შეიძლება ეს იყოს უწყინარი, შეუმჩნეველი დანაშაული, მაგრამ მაინც დანაშაულია. ვისაც არ სჯერა, განვლილ დღეებს გადაავლოს თვალი. ბევრი წვალება კი არ დასჭირდება, უცებ აღმოაჩენს, რომ სხვა კი არა — საკუთარი თავი მოუტყუებია. მე რა, ციდან ჩამოფრენილი ხომ არა ვარ? ნებით თუ უნებლიედ, მეც დამმართია ასეთი რამ.

მოკლედ, აი როგორ იყო:

## დანაშაული პირველი

ცარიელ ჭიქაში კოვზი ჩავაგდე და გვერდზე გავაცურე ლამბაქიანად. დედას აივანზე ლეიბები გაჰქონდა გასამზეურებლად. მამა სარკის წინ იდგა და ხალათის საყელოს ისწორებდა.

— მამა, მგონი რაღაც უნდა გეთქვა!

— ჰო, (სარკიდან მიცქერდა) — გადაირბინე შოთა ძიასთან და უთხარი, ხვალ არაგვზე სათევზაოდ მივდივართ-თქო. უთენია გავუვლი მანქანით, მოემზადოს.

— კარგი, — წამოვდექი.

— მოიცა, — ჯიბეებში დაიწყო ხელების ფათური, — გამომართვი, — მანეთიანები მომაწოდა, — ხუთი მითხარი, არა?

— კი, ხუთი.

— იყიდე, ოღონდ ოთხიანი თუ გამოგერია, მაგ ბურთს დავაბრალებ.

— რას ამბობ! — საწოლზე მიგდებულ პიჯაკს დავწვდი.

— რა გადის ისეთი, რომ ყოველდღე კინოში დაბრძანდები? — ახლა ქოჩორს აწვალებს.

— მა რა ვაკეთო, მეცადინეობის მერე ქუჩა-ქუჩა ვიყიალო?

— ლალიძის წყლებთან დაეყუდე, — დაიწყო მისებურად.

— წავედი, — გამეცინა.

— წადი, — სავარცხელი ჯაგრისში ჩაარჭო, — წიგნების მაღაზიაშიც შეიარე, ნახე ახალი რა გამოვიდა, ჩამოიწერე და მითხარი.

თვეში ორჯერ მაძლევს ხოლმე ამგვარ დავალებას. გუშინწინ თვის მეორე ნახევარი დაიწყო და... ვიფიქრე დაავიწყდა-მეთქი, შენც არ მომიკვდე, რა დაავიწყებს?!.

ღიღინით ჩავდივარ ეზოში.

ძია შოთა და მამა ერთად მუშაობენ და... ორშაბათობით ისვენებენ. მაგრამ ახლა ძია შოთა შვებულებაშია და იმიტომ გამაგზავნა მამამ.

საერთოდ, კვირა დღეს ვერ ვიტან, — როდის დაღამდება ეს ოხერი! ისევ გაკვეთილები მირჩევნია. ორი საათი რომ ვიკითხო წიგნი, დედა ხელიდან მგლეჯს, — თვალები გეტკინებაო. გადაირევი კაცი: ექიმს უჯერის, მე — არა. ეს საქმეა?!

მივდივარ ქუჩაში. ჯერ მაღაზიაში უნდა შევიარო, ბარემ ბურთს ვიყიდი.

ჩემი სკოლა გამოჩნდა. სკოლის წინ ავტობუსი იდგა; იქვე ჩემი ჯგუფელი ბიჭები ირეოდნენ.

„ისევ აქ არიან, კაცო?!. საცაა თავზე დაგვადგება მზე, ესენი კი, ვერ უყურებ, ისევ აქ არიან! ერთი უნდა მივიდე და გავიგო, რას ელოდებიან“.

— გამარჯობათ, ბიჭებო! — მივესალმე.

ფიზკულტურის მასწავლებელმა ღიმილით გადამხვია ხელი.

— გივის ველოდით და არ მოვიდა, მაღალი სიცხე ჰქონია; მოკლედ, შენ უნდა წამოხვიდე, დღეს ფინალია და...

— რომ არ მივარჯიშნია? — შევაწყვეტინე.

— შე დალოცვილო, სირბილი შენი მოგონილია, ჩვენ კი მეტი არაფერი გვინდა, წამოდი.

— ფორმა არა მაქვს.

— გივის ფორმა ჩაიცვი.

— წამოვალ, — უცებ გადავწყვიტე.

ბიჭები გამოცოცხლდნენ:

— აგაშენა ღმერთმა!..

— ესეც ეგრე!..

— გაიქეცი სახლში და თქვენებს შეატყობინე, მივდივარ-თქო, — მითხრა მასწავლებელმა.

რა შორს მე ვცხოვრობ! გადავირბინე ქუჩა, შევ-



ვარდი ჩემი სადარბაზოს კარში და... საფოსტო ყუთი გავხსენი. არაფერი არ იყო. მერე ისევ სკოლისაკენ... შევედი ავტობუსში და ვიკითხე:

— მალე დავბრუნდებით?

— მალე. ოთხსაათიანზე კინო უნდა ვნახო, რუსთაველში, — მიპასუხა რეზომ.

„არაფერია, — გავიფიქრე, ნაშუადღევს მივალ ძია შოთასთან, არც მაშინ იქნება გვიანი“.

შარშან გვარიანად ჩავფლავდით: სამ გუნდში მესამე ადგილი დავიკავეთ. შეჯიბრებიდან დავბრუნდი მოთენთილი, მტვერში ამოგანგლული, მშიერი და, იმის მაგიერ, რომ ეთქვათ,—ხომ არ გშიაო, — ხან დედა მეკითხება, ხან მამა: — „რომელი ადგილი დაიკავეთ?“ მე კი, ხან ერთს ვუყურებ, ხან მეორეს... მესამე-მეთქი. გამარჯვება ჯერ მამამ მომილოცა, მერე დედამ. მეზობლებს კი ჯერ დედამ შეატყობინა, მერე მამამ...

სულ ექვსნი ვართ ავტობუსში: მასწავლებელი, რეზო, ბეთქილი, იაგო, მე და ჩვენი ავტობუსის შოფერი — ძია ლადო.

ორთაჭალა გავიარეთ და აღმართს შევუდექით; სამხრეთისაკენ ავიღეთ გეზი. აქა-იქ ჩემოდნიანი გოგოები და ბიჭები გვხვდებიან, ხელს გვიქნევენ, — წაგვიყვანეთო.

შოფერი მანქანის სვლას ანელებს, თან მასწავლებლის გასაგონად ამბობს:

— ცოდონი არიან, გავიყოლიოთ.

ნახევარ საათში გაივსო ავტობუსი.

მოგეხსენებათ: ეს თავაზიანობაა, ეს ზრდილობააო და... ჩვენ ბოლომდე ფეხზე ვიდექით.

ასე იყო თუ ისე, თეთრწყაროში ჩავედით. ავტობუსი გაჩერდა თუ არა, ყველამ ჯიბეზე გაიკრა ხელი. ძია ლადო შეიშმუშნა:

— ეგ მაგ ფულით, შვილო, ძაფი იყიდე და ეგ არღვეული ჯიბე დაიკერე; მუხლისთავებიც რომ ამოიკემსო, არაფერი დაშავდება... შენა, ძმისწულო, შედი სადალაქოში და პირი გაიპარსე; არა გრცხვენია, ეგეთი წარმოსადეგი ყმაწვილი ჰირისუფალივით დადიხარ... შენ კი, გოგონიავ, შოკოლადი იყიდე, ძაან მწარე ენა გქონია...

ისევ ექვსნი დავრჩით.

მალე ავტობუსმა შარაგზიდან გადაუხვია, საურმეზე გავედით. ჩავიარეთ თავდაღმართი, გავივაკეთ და...

— ეს რა ამბავია, ვინ მოვიდა ამდენი მანქანით, — ხელი მოიჩრდილა იაგომ.

— ბაზარში მივდივართ, — ამბობს ბეთქილი.

იქაურობა მტვერშია გახვეული.

— ნაცარქექიები მოდიან, — ვამბობ მე.

— წუნარად! — ამბობს შუბლშეკრული მასწავლებელი.

რეზოს კი სახე ხელებში ჩაურგავს და არაფერს არ ამბობს.

ავტობუსი გაჩერდა. გადმოვედით, ხალხში შევერიეთ.

## დანაშაული მეორე

ნაცნობებს ხელი ჩამოვართვით, მოვიკითხეთ; უცნობებსაც ჩამოვართვით ხელი: გავიცანით და, ერთი საათის შემდეგ, მაუდგადაფარებულ მაგიდასთან ჩაგვამწკრივეს.

მთავარმა მსაჯმა „თხა და ვენახივით“ დაიწყო:

— პირველს მიაქვს ესტაფეტა, გადაირბენს აღმართებს და დაღმართებს; გადასცემს მეორეს. მეორე გადალახავს მდინარეს, უკაცრავად, ხევს; გადასცემს მესამეს; მესამე აცოცდება არც თუ ისე დაყუდებულ კლდეზე და გადასცემს მეოთხეს. ის მეოთხე გაირბენს წვრილიანს და მოვა აქ,—მაგიდაზე აკაკუნებს ფანქარს.—გარდა ამისა, ყველასათვის სავალდებულოა ნაჩვენები გზით სიარული. ქულები იწერება: სისწრაფის, სიმარჯვის...

— ვიცით, ბატონო, ზეპირად ვიცით! — მორიდებით ესროლა ვიღაცამ.

— იცით, მაგრამ ვალდებული ვარ, კიდევ აგიხსნათ!— გაბრაზდა.

საოცარია: თვითონაც დარწმუნებულია, რომ ვიცით, მაგრამ ვალდებულებად მიაჩნია კიდევ აგვიხსნას. უცებ, თბილისელი ბებია არ გამახსენდა! ვბრუნდები სკოლიდან, ვაღებ კარს, ფეხსაცმელებს დერეფანში ვიხდი, ფლოსტებში ვყოფ ფეხს, შევდივარ ოთახში და... კაი ერთი საათის შემდეგ მეკითხება:

— ფეხსაცმელები დაიხადე? — თან ფეხებზე დამჩერებია.

— არა, მეზარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ისემც რა გითხრა!..

ამის შემდეგ, ან გაბრაზდები, ან გაგეცინება, სხვა რა უნდა დაგემართოს?! ყოველდღე ერთსა და იმავეს იმეორებენ და ამას წესრიგს ეძახიან.

გამოგვიცხადეს: ოც წუთში შეჯიბრი დაიწყებაო. მსაჯები ადგილების დასაკავებლად წავიდნენ, ჩვენ კი მასწავლებელთან ერთად გავნაპირდით და მოვილაპარაკეთ: სტარტი მე უნდა ავიღო, ღელეს გადალახავს რეზო, კლდეს — ბეთქილი (სვანია და მაგის იმედი ნუ მოგვიშალოს ღმერთმა), ტყეს გადაირბენს იაგო. (ტყუილად კი არ ვეძახით ტყის კაცს); მერე, კარვის დადგმა, წყლის ადუღება და ბოლოს, მასწავლებლის წამოღებულ ქათამს, ძეხვს, პამიდვრის წნილს და ბოლოკს ყბებს მოვუქნევთ და ისევ ძია ლადოს ავტობუსში შევლაგდებით: ოთხსაათიანზე კინო უნდა ვნახოთ რუსთაველში.

— მეოთხესკოლელი რომ ამომიყენონ გვერდით, აი ისა—სულ თმააბურძგნული რომ დადის, იმას არ გინდა გაასწრო? ტყვიაა ნაღდი. რას გარბის, ბიჭო?! — ხელი ხელს შემოჰკრა იაგომ.

— მეორე თანრიგი ჰქონია, — თქვა ბეთქილმა.

მასწავლებელი დაბრუნდა და თქვა:

— ცალ-ცალკე ჩაებმებით შეჯიბრში. აბა, წადით, ბიჭებო, თქვენ-თქვენს ადგილზე. მე მგონი, წეღან კარგად დაათვალიერეთ ყველაფერი.

ბიჭები წავიდნენ.

მალე გივის სპორტული ფორმა ჩავიცვი, ზურგჩანთა მოვიკიდე და... ვიღაცამ დაიძახა:

— სტარტზე!

— არ აღელდე, — მეუბნება მასწავლებელი, — რაც შეიძლება სწრაფად, პირველად კი არა, — ფინიშზე. ნიშნებს უყურე, ერთი ნაბიჯი გვერდზე რომ გადაუხვიო, შეჯიბრებიდან მოგვხსნიან... მოკლედ, მსაჯების ამბავი ხომ იცი.

თეთრ ხაზზე ვდგავარ. ვგრძნობ, ყველა მე მიყურებს, მე კი გზას გავცქერი, რომელიც გორაკებზე ადი-ჩადის. და უცებ... გავარდა დამბაჩა.

გავენთე. ფეხებს კისერზე ვირტყამ.

ერთი კილომეტრი მაქვს გასარბენი, მეტი კი არა. ვჩქარობ. ათი წუთის შემდეგ მეოთხესკოლელები აიღებენ სტარტს.

ხან ორღობეში მივძვრები, ხან მოტიტვლებულ გორაკზე, ხანაც ისე ვიწროა ბილიკი, ძალიანაც რომ გინდოდეს, გვერდზე ვერ გადაუხვევ.

ყოველ მკვეთრ მოსახვევში მსაჯი დგას და მიმართულებას მიჩვენებს:

— აქეთ! იქით! ზევით! ქვევით!

— გმადლობთ, ბატონო, ვიცი!

— ყოჩაღ! — შემაქო მსაჯმა, როცა ზურგჩანთა რეზოს გადავეცი, — საუკეთესო შედეგია.

ძალიან დავიღალე, მაგრამ არ შევჩერდი; ვიცი, ამ დროს მოძრაობაა საჭირო. ნელა ვბრუნდები უკან, ღრმად ვსუნთქავ და ხელებს ვიქნევ, ვვარჯიშობ. მივდივარ ნელა, მივღიღინებ.

ჩავიარე მესამე გორაკი და ვხედავ: მეოთხესკოლელს პერანგის სახელო მოუხევია, მაჯას იხვევს.

ნაბიჯი ავაჩქარე, მინდა გვერდი ავუარო.

— ბიჭო! — დამიძახა, — მომეხმარე!

ვითომ ვერ გავიგონე, მისკენ არც მიმიხედავს.

— შენ გეუბნები! — დამიყვირა.

შევჩერდი.

— მე მითხარი რამე?

— მოდი, შემიხვიე.

მივედი.

— რა დაგემართა?

— კატაბარდას წამოვედე, გავიშხლართე, მგონი სიპზე გავუსვი... შემიხვიე.

დავხედე. სისხლი თქრიალით გადმოსდის.

— აუჰ! ძალიან გაგჭრია!

— ეგ არაფერი.

ნელა ვუხვევ, აუჩქარებლად.

— ჩქარა! — მიყვირა.

როგორც შემეძლო, ისე შევუხვიე. მერე ჩავავლე ხელი და აღარ ვუშვებ:

— წამო ექიმთან!

— დავამთავრებ და მერე, გამიშვი!

— არ გაგიშვებ! ექიმი...

— წადი ერთი! — ხელი მკრა და გაიქცა. თვალი გავაყოლე. ტყვიააო?! ტყვია კი არა, ელვა ყოფილა!

„კარგია, — ვფიქრობ, — ერთი წუთი მაინც დაკარგა, რაღას აინაზღაურებს! მოვიგეთ და ეგ არის! მარტო ამ გუნდისა გვეშინოდა".

## დანაშაული მესამე

— რა გქვია? — ვეკითხები მეოთხესკოლელს, აი იმას, ჭრილობის შეხვევაში რომ მივეხმარე.

— გიგო, — თან ექიმს უყურებს, რომელიც თეთრ ფხვნილს აყრის ჭრილობაზე, — კატაბარდის ბრალია, თორემ ოცდახუთი წამით წაგება რა სათქმელია, მთელი სამი წუთით მოგიგებდით.

— ეგეც არაფერი, — ბეჭებზე მოვუთათუნე ხელი,— გაიზრდები და დაგვიწყდება.

გაიცინა:

— კარვის დადგმაში და წყლის ადუღებაში მაინც დაგამარცხებთ...

მაშინვე ჩვენი ბიჭები მოვძებნე: კუნელის ჩრდილს შეფარებოდნენ. კინაღამ დაგვღუპა რეზომ: გუბეში ჩავარდა. ვიდრე ამოვიდოდა — დაღამდა კიდეც. ის ერთი გუბეა იმ ხევზე და რაღა მაინც და მაინც იქ დაუსხლტა ფეხი! ღმერთმა უშველოს ბეთქილს, გეგონება ასფალტიაო, ისე არბის კლდეზე. იაგოს კი, იცოცხლეთ, ემარჯვება ბარდებში ძრომიალი.

— ბიჭებო, ვიდრე მასწავლებელი მოვა, მოვილაპარაკოთ.

— დაიწყე, — წამოდგა რეზო.

— შარშანდელი ხომ გახსოვთ? — ვკითხე.

— მა რაღა გვახსოვს, — ახლა იაგო წამოდგა.

— კარვის დადგმაში და წყლის ადუღებაში დაგამარცხებთო, — გვემუქრებიან.

— სხვა რაღა გვინდაო, — დაჯდა ბეთქილი.

— ცოტა წავივარჯიშოთ, — თქვა მასწავლებელმა, რომელიც ის-ის იყო, მოვიდა...

მართლაც, ცოტა წავივარჯიშეთ და, როცა ბიჭები ისევ კუნელის ჩრდილს შეეფარნენ, მე ჩაიდანი ავიღე და წყაროზე ჩავირბინე ხევში.

ხევიდან ამოვედი და... ატყდა უცებ ყაყანი, ღრიან-

ცელი, სტვენა. მინდორზე მხედარი მიჭროდა, იმას უყიჟინებდნენ. მართალი გითხრათ, მეც წავუსტვინე, მაგრამ მასწავლებელს არ მოუცია შენიშვნა. გამიკვირდა.

ყველა იმ მხედარს უცქერდა. მე კი კარგად ვიცოდი, მეოთხესკოლელების შეშა სადაც ეყარა. დრო ვიხელთე და მთელი ჩაიდანი წყალი ზედ მივანთქრიე. მერე ისევ ხევში ჩავუხვიე... ყიჟინა თანდათან ძლიერდებოდა.

## დანაშაული მეოთხე

მსაჯებმა წამზომები ჩართეს და... დაიწყო კარვების დადგმა. იქვე, ჩვენს გვერდით, მეოთხესკოლელები ჩქარობდნენ. იმას იქით კი ვიღაცები ცოდვილობდნენ, მაგრამ ეს უკვე საინტერესო აღარ იყო ჩვენთვის, ვინაიდან საგრძნობლად ჩამოგვრჩებოდნენ დროში.

პალოებს მე და რეზო ვარჭობდით, ბოძკინტებს ბეთქილი და იაგო ამაგრებდნენ... ეს საქმე მალე მოვათავეთ და ახლა კარვის გაჭიმვას შევუდექით.



მე თოკი პალოს მოვდე და, რაც ძალი და ღონე მქონდა, მოვქაჩე. მერე, ვითომ შემთხვევით, მოწინააღმდეგის პალოს გავკარი ფეხი. მივიხედ-მოვიხედე: არავის შეუნიშნავს.

— ჩქარა! ჩქარა! — ეს ჩვენი მასწავლებელია.

— მალე! მალე, — ესენი კი სეირის მაყურებლები არიან და...

კარავი მზად არის!..

ოფლად ვიღვრები. თავი გასკდომაზე მაქვს.

რეზო წყალს დაეწაფა, მაგრამ მასწავლებელმა წაართვა ჩაიდანი. იაგო საბერველივით ქშინავს და პიტნის კამფეტს წუწნის. ბეთქილი კარავში იხედება და რაღაცას უღიმის.

— ოქრობიჭები ხართ! — გვაქებს მასწავლებელი...

ისევ ჩაირთო წამზომები: წყალი უნდა ავადუღოთ.

აქეთ-იქით ორკაპა ჯოხები დავარჭეთ, ზედ ხარიხა გავდეთ და ჩაიდანი ჩამოვკიდეთ.

ბეთქილმა ასანთს გაჰკრა და ისე მოედო ალი ხმელ ფოთლებს და ხმელ შეშას, — ჩაიდანი აღარ ჩანს. ბეთქილი დაცემულა მუხლებზე და უბერავს. ბეთქილს რეზო ენაცვლება, რეზოს—იაგო. მე დოინჯშემოყრილი ვდგავარ და მეოთხესკოლელებისაკენ ვაპარებ თვალს: ვერაფრით ვერ დაანთეს ცეცხლი, ამასობაში ჩვენმა ჩაიდანმა შემოსძახა და... ყველამ ერთხმად დასცხო ტაში.

— გავიმარჯვეთ! — ერთმანეთს ხელს ვართმევთ. მასწავლებელმა ყველა სათითაოდ რომ გადაგვკოცნა, მალაყებზე გადავედით.

მსაჯებმა შეამოწმეს კარვები; მეოთხესკოლელებმა ჩვენზე ადრე დადგეს, მაგრამ წუნი აღმოაჩინეს: პალო მოგლეჯილია. ცეცხლი დროზე ვერ დაანთეს და ესეც საკმარისია, რომ ჩვენ მოგვენიჭოს პირველი ადგილი.

## დანაშაული მეხუთე

საცაა მსაჯები შედეგებს შეაჯამებენ და ისევ მაუდგადაფარებული მაგიდის წინ ჩავმწკრივდებით.

მასწავლებელი ღიმილით ესაუბრება მსაჯებს. ხანდახან ჩვენსკენ იხედება და მრავალმნიშვნელოვნად გვიკრავს თვალს.

გიგო თანაგუნდელებთან დამდგარა, გაცხარებული ლაპარაკობს:

— პალო მე ჩავარჭე, მოვსინჯე კიდეც და მაგრად იყო; ნეტავ, როგორღა გადაიხარა? თოკიც მე გამოვდე, რაღა დაემართა, ვერ გამიგია!

— ეგრე კია და, — ამბობს ვიღაცა.

— შეშაც მე მოვიტანე. — ისევ აგრძელებს საუბარს გიგო, — სხვას არ ვენდე... ხმელი ბალახებიც. უცებ, სველი აღმოჩნდა!

ვუყურებ: მიწის ფერი ადევს... შემეცოდა გიგო. იქაურობას გავეცალე, აღარ მინდოდა მისი გაფითრებული სახის დანახვა. უმიზეზოდ ვიხეტიალე, ბიჭებს გამოველაპარაკე, მასწავლებელსაც, სხვებსაც, ღობე-ყორეს მოვედე, მაგრამ გიგო ვერ ამოვიგდე თავიდან. ყურებმა წივილი მორთეს, რაღაც ამეკვიატა და ვეღარ გავუსხლტი: წელში მომხარა, მომადუნა, ღიმილი გამიხდა სანატრელი. ბიჭები გაოცდნენ, — რამ შეგცვალა ეგრეო... ყველაფერი ავწონ-დავწონე, შევამოწმე; მინდოდა, ჩემი საქციელის გამართლება მომენახა, მაგრამ ხელჩასაჭიდი ვერაფერი ვიპოვნე. ის, რაც არასოდეს ჩამიდენია, თით-



ქოს საგანგებოდ, ერთ დღეში მოვაქციე: სიცრუე, უყურადღებობა, შური... მაშინ ვინმესთან გულახდილად რომ მეღიარებინა ეს დანაშაული და ეპატიებინა ჩემთვის, ამასაც ბოროტებად ჩავთვლიდი. როგორ დავბრუნებულიყავ სახლში, როგორ შემეხედა დედისათვის, მამისათვის, მეზობლებისათვის, რომლებიც ყოველდღიური მაგალითით მასწავლიდნენ სიმართლეს, ადამიანისადმი ყურადღებას, სხვისი წარმატების დაფასებას...

ისევ გიგო გამახსენდა: ხვინჭიან გზაზე დგას, ხელი გასჭრია. სისხლი თქრიალით ჩამოსდის, მეძახის, — მომეხმარეო. მე კი, ვითომც არ მესმის, ღიღინით ვაგრძელებ გზას, მხოლოდ იმიტომ, რომ რაღაც ერთი წუთი დავაკარგვინო, რომ გამარჯვება მე ვიზეიმო, — გაუთვალისწინებელი შემთხვევისა და მისი ტკივილის ხარჯზე.

კარვის დადგმაში არ მომიწურავს იმდენი ოფლი, როგორც მაშინ, ხევის ნაპირზე რომ დავეხეტებოდი. ისიც გავიფიქრე: იქნებ მომავალმა ერთ ჭერქვეშ მოგვახვედროს, — ერთ სამუშაოზე; იქნებ ჩემზე მეტის გაკეთება შესძლოს, — უფრო მარჯვედ, უფრო ლამაზად. მაშინ?.. მაშინ სჯობია, ეს არეული დღე მთლიანად ამოვიგდო მეხსიერებიდან, ვითომ ძილში გამიტარებია... ეს ამბავი მხოლოდ მე ვიცოდი, შემეძლო გავჩუმებულიყავ, მაგრამ...

რვეულის ფურცელზე ერთი წინადადება დავწერე, მოვძებნე გიგო, გვერდზე გავიხმე და ოთხადგაკეცილი ქაღალდი მივაჩეჩე ხელში:

— გამომართვი.

— რა?

— ქაღალდი, გამომართვი. როცა რიგში ჩაგვაყენებენ, წაიკითხე და მერე მიაწოდე მთავარ მსაჯს. გაიგე?

— საიდუმლოა? — მკითხა.

— ნახავ. მანამდე არ წაიკითხო; იცოდე, არც არავის არ უთხრა.

— რა საჭიროა ამდენი ლაილაი?—თქვა და წავიდა.

თვალი გავაყოლე. მანამდე ვუცქერდი, ვიდრე ხალხში არ დამეკარგა. მერე დავეშვი ხევში. მივატოვე ყველა, ყველა მივატოვე...

ფიქრში საკუთარ თავს ვებუზღუნებოდი: — „ეს რა დაგემართა, ბიჭო?!“

ერთი საათი ვიარე. დამაწყდა მუხლები, მხრებიც წამომტკივდა. რამდენი წყაროც შემხვდა, ყველას თავი შევუშვირე, მაინც ვერ გავგრილდი... კიდევ ერთი საათი და... დამთავრდა ტყე, ყანები დაიწყო. იმის ქვემოთ სოფელი ჩანს. იმ სოფელში ბებიაჩემი ცხოვრობს.

## მაისის ბალი

ზღვაზეც ვყოფილვარ, მთაშიც... მაგრამ ბებიასთან რომ ვისვენებ, ნუღა მკითხავთ, ყველა აგარაკს მირჩევნია! არდადეგებზე ყოველთვის აქეთ გამოვრბივარ; ამ სოფელში იმდენი ძმაბიჭები მყავს რომ...

სოფელი მწვანეშია ჩაფლული... რა ხილი გნებავთ, ბატონო, — თქვენ მარტო ან ბრძანეთ, ან ინატრეთ და მაგაზე უარს როგორ გაკადრებთ, სამოთხის ბაღში შეგიყვანთ...

ტყე ორ ნაბიჯზეა, მარჯვნივ; მარცხნივ მოზრდილი მდინარე ჩაუდის.

იმ მოზრდილ მდინარეში ვბანაობთ ხოლმე. ცურვა აქ ვისწავლე. ორი წელი ბებიასთან ვცხოვრობდი, როცა მამა ჯარში იყო და პოლკოვნიკის სამხრეებს ატარებდა.

ნაცნობი არავინ შემხვედრია, ისე ჩავათავე სოფელი.

ღობეზე გადავხტი. ჩემი დარგული ხომარდული დავინახე და გამეხარდა. რომ არ დამენახა, არც გამახსენდებოდა.

— აგრემც მოვკვდები! — ბებიას ხმა მომესმა, თავის თავს ელაპარაკებოდა, — იმ მაწანწალა ოტიას სულ გადაუბელნია მაისის ბალი! რას უშლიდა, ადამიანო, დგას თავისთვის, მარტო ფერი აქვს ბლისა, ისე კი ტყემალზე უარესია... როგორ დაუმტვრევია ტოტები, აგრემც მოვკვდები!..

მთელი დღის სიბრაზე ერთბაშად მომაწვა: ის ბალიც ჩემი დარგულია.

უკან გავბრუნდი, ავიარე ორღობე და ოტიას სახლს მივადექი. მაშინ იყო, ჭიშკარი რომ გამოვაღე და ეზოში შევიხედე. ოტია წიწილებს მიერეკებოდა საქათმისკენ:

— ვაჰ! ქშიი! სად ოხრობაში მიხვალ!

— ოტია! — დავუძახე...



## დიდი ოტია

ყველა ბებია ისე ხვდება დიდი ხნის უნახავ შვილიშვილს, როგორც მე შემხვდა, ამიტომ ამ ამბავს აღარ მოგიყვებით...

მთელ დღეს ოთახიდან არ გამოვსულვარ.

ბებია შემოვიდა ოთახში.

— რას დამჯდარხარ სიბნელეში, სიზარმაცე მოგერია? — ღილაკს თითი ჩამოჰკრა, ოთახი ერთიანად გაჩახჩახდა, — წავალ ახლა, ოტიას დავუძახებ, მარტო ჩვენ ვერ მოვერევით ვახშამს.

მე ფანჯარასთან ვიჯექი და მივჩერებოდი მილეულ მთვარეს, რომელიც ნელ-ნელა გულაბის ტოტებში იხლართებოდა.

— ბებია, სად მიხვალ?

— ოტიას დავუძახებ, შვილო, მადლია. მისი დედ-მამა სატირალში წავიდა და მეორე დღეა მარტოა... მართლა, აგრემც მოვკვდები, მეძროხე ოტია გადმომძვრალა ეზოში და სულ დაულეწია მაისის ბალი... იმ ხელგამხმარს ეჰამა, ტოტებს რას ემართლებოდა, ჰა?

თავზარი დამეცა: თურმე ჩემი ძმაკაცი არაფერ შუაში ყოფილა. ოხმე!..

ბებია წავიდა. წავიდა და უარესად მომაწვა სადარდელი: ვიცი, არ გამოჰყვება ოტია. შეიძლება მშიერი დაწვეს ამაღამ. ისედაც გაძვალტყავებულია და ახლა, მშიერმა რომ დაიძინოს, რა სიკეთე დაეყრება... ჯერ სიმართლე უნდა გამეგო, სიმართლე! სიმართლე! ჯერ სიმართლე!... თუ ღირსი იყო, ცემით მერე უნდა მეცემა. მაგის მორჩენაზე გადაეგო მთელი ოჯახი, ნათესავები, მეზობლები, — ძლივს წამოაყენეს ფეხზე...

კიბე ახმაურდა: ოტია მოჰყვებოდა ბებიას.

— აკი გატყუებდი? — უთხრა ბებიამ, როცა ოთახში შემოვიდნენ. ოტიამ ღიმილით გამომიწოდა ხელი:

— ძალიან დაგვივიწყე, ბიჭო. თევზაობა მაინც არ მოგენატრა?

— მომენატრა რომელია, — ამოვილუღლუღე. ვიჯექ და თვალს ველარ ვაცილებდი თეთრი ღვინით დალაქავებულ სუფრას.

— თქვენ ილაპარაკეთ, შვილო, მე წავალ, ნიორწყალს შევამზადებ, — აივანზე გახუსხუსდა.

— ბებიასთან არაფერი წამოგცდეს, — მიჩურჩულა ოტიამ, — ეწუინება.

ხმა არ ამომიღია. ან რა მქონდა სათქმელი.

— ვიცი, მიზეზი რაც იყო, — გეგონა, მე დავსეტყვე მაისის ბალი, მეძროხე ოტიაში შეგეშალე. რაღა ჩვენი და რაღა ბებია ანას ხეხილი! — თუ მინდა, მთელი ქვეყნის დასანახავად წამოვსკუპდები კენწეროზე, ვინ მიშლის? მე მოვატანე ოტიას ბალზე. კავი ეშოვა სადღაც და კავით ხლეჩდა ტოტებს. მაღლა არ ასულა, რად უნდოდა, — გაიცინა, — იმსიგრძეა. ანა ბებიას დავუძახე, ვერ გავაგონე. მერე გავიგე, დათოს ბებიასთან გადასულიყო. მე, აბა, დათოს სახლამდე გასაწვდენი ხმა სად მაქვს? მაინც არ მოეშვა ბალს. მაშინ ავუშვი მურია, მივუქსიე. ისე გაიქცა, შენი მოწონებული!.. ამხელა კაცია და რა მხდალია, არა?

— მეჯავრება მხდალი კაცი, — ვთქვი მე.

— მე მეზიზღება, — თქვა ოტიამ.

ბებიამ ნიორწყალი შემოიტანა თიხის ჯამით, მაგიდაზე დადგა, მერე დანა მიაწოდა ოტიას:

— ქათამი აჭერი, შვილო. — ამას, — მე გადმომხედა, — ვერ ვასწავლე. ხომ იცი: ჯერ ფრთები უნდა ააჭრა, მერე ბარკლები, მერე მკერდი...

ოტიამ ხალათის სახელოები აიკაპიწა:

— მე ვიცი და ამან!..

— ბადაგს შემოგიტანთ, შვილო, მადის გასახსნელად კარგია, თითო ჭიქა დალიეთ.

— ვინ უჩივის უმადობას, ბებია ანა, — თან ფრთა დამიდო თეფშზე.

მე დილის შემდეგ ნამცეცი არაფერი ჩამედო პირში და გულმუცელი მედაგებოდა შიმშილით.

უცებ ძლიერმა სინათლის ჩქერმა გაირბინა კედლებზე და მანქანის ხმაური მომესმა. ფანჯარას ვეცი. გადავიხედე: ეზოში „ვოლგა" შემოგრიალდა. ნომერს დავაკვირდი: ჩვენია!.

ისევ სკამზე დავეშვი. მანქანის კარი ორჯერ მიჯახუნდა და...

მაღლა მოიწევდა ნაბიჯების ხმა...

— გაგახსენდი, შვილო? — გაიბადრა ბებია.

თავი ავწიე: ოთახში გაფითრებული მამა შემოვიდა.

— ძილშიაც მახსოვხარ, — მოეხვია დედას. მერე ოტია ჩაიკრა გულში, — ხომ ხარ კაჟივით?

— სამი თვეა, ფრჩხილი არ წამოსტკენია, — მიახარა ბებიამ.

მერე ფიზკულტურის მასწავლებელიც რომ დავინახე, სულ დავიბენი.

— ჩემი მეგობარია, დედა, — გააცნო.

— კეთილი, კეთილი... დაბრძანდით!..

მასწავლებელი ჩემს გვერდით დაჯდა.

— დედაჩემო, — შუბლი შეიკრა მამამ, — რა მოხდება, კვირაში ერთხელ წერილი რომ გამომიგზავნო, — ასე და ასე ვარო, ვითომ დიდი ჯაფა დაგადგება? ხომ ხედავ, ვერ ვიცლი ჩამოსასვლელად!

— მავიწყდება ხოლმე.

— დღეს ამიტომ გამოვგზავნე ბიჭი, — ჩადი, გაიგე, როგორ არის-მეთქი.

— ჰო, მითხრა.

— გითხრა?

— მაშ!

—' მადლობა ღმერთს, ერთნაირად ვფიქრობთ ორივენი!..

ოტია ქათამს ჰქნიდა და ლამაზად ალაგებდა თეფშზე.

— დღეს დამაჯერებლად ავიღეთ პირველი ადგილი, — მითხრა მასწავლებელმა, — ისე დავამარცხეთ ყველა, აღარ დაავიწყდებათ. ხვალ, სკოლაში, საზეიმოდ მიიღებ ქების სიგელს!..

წამოვდექი, უკან გავაჩოჩე სკამი.

— სად მიხვალ? — შემაჩერა მამამ.

— ახლავე ამოვალ.

ჩავედი ეზოში და სიბნელეს შევერიე...

მაშ, გიგოს არ გადაუცია წერილი მსაჯისთვის?! ამას კი ველარ წარმოვიდგენდი... იმ წერილში ეწერა: „პალოც მე გადავხარე, შეშასაც მე დავასხი წყალი"... ეს ასე რომ იყო, ხელის მოწერით დავადასტურე... აი, თურმე, როგორი ყოფილა ის თმააბურძგნული ბიჭი, რომელსაც დამცინავად მოვიხსენიებდით ხოლმე მე და ჩემი ჯგუფელი ბიჭები. მან მიჩქმალა ჩემი დანაშაული და ამით ერთიასად გადამიხადა... ხვალ ქების სიგელს მომცემენ, რომელსაც სახლში მივიტან. დედა ჩარჩოში ჩასვამს და ჩემი საწოლის პირდაპირ დაჰკიდებს. ყოველ დილა-საღამოს, ადგომისა და დაწოლის წინ, ჩემდაუნებურად შევავლებ თვალს და გამახსენდება ეს ფეთიანი კვირა დღე. გამახსენდება, და ერთხელ კიდევ დამივლის სინანულის ჟრუანტელი. გიგომ ჩემი სახელი არ იცის და, მე მჯერა, ხანდახან ასე გავიელვებ მის მეხსიერებაში: იმ ბიჭმა, რომელსაც ყოველთვის გადატკეცილი თმა აქვს, მოატყუა სკოლა, მეგობრები, ოჯახი, ყველა მოატყუა, მაგრამ საკუთარი თავის მოტყუება ვერ შესძლო...

ფიქრებიდან ხმაურმა გამომიყვანა: რაღაცა თუ ვიღაცა ვედროს წამოედო კიბის იქით. გავიხედე: მაისის ბლის ქვეშ ოტია იდგა... მოტრიალდა, დამინახა და ჩემსკენ წამოვიდა.







გახარებთ მეხუთეკლასელ ნ. ფურმანის წარმატება, იგი შესანიშნავად გრძნობს ფერებს.

# რეპორტაჟი

# ქუთაისის პიონერთა სასახლიდან

თემურ ცაგარელი

ფოტო ავტორისა.

ქუთაისში, ქალაქის ცენტრიდან „თეთრ ხიდს" რომ გადაივლით, უსათუოდ შენიშნავთ ლამაზ, დეკორატიულ გაზონებს, პატარა სკვერს და იქვე მავთულის ბადით შემოკავებულ ადგილს, რომელშიც ჟურებაცქვეტილი პაწია შველი კუნტრუშობს. სკვერს იქით მშვენიერი შენობა აუგიათ ხელმადლიან მშენებლებს.

აქ, ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში, დილიდან გვიან საღამომდე, სიცოცხლით სავსე პიონერული ცხოვრება ჩქეფს. ასე იყო იმ დღესაც, მაგრამ... ეს ბიჭუნა, მხარზე ეტიუდების ყუთი რომ ჩამოუკიდნია, რატომ დგას ასე დანაღვლიანებული სამხატვრო კაბინეტთან? აგერ, მას თვალცრემლიანი გოგონა ამოუდგა გვერდით. რაშია საქმე?

— ყველაფერი ჩვენი ბრალია, — ნაღვლიანად ჩაილაპარაკა თემურმა, — ცუდი ნიშნები მივიღეთ და, ვიდრე არ გამოვასწორებთ — სამხატვრო კაბინეტის ხელმძღვანელი მეცადინეობაზე აღარ დაგვიშვებს.

სამხატვრო წრეში ოთხი ჯგუფია. პირველ ჯგუფში პირველი და მეორეკლასელები ეუფლებიან ხატვის ანბანს, მეორეში — მესამე და მეოთხეკლასელები, მესამეში — მეხუთე და მეექვსეკლასელები, ხოლო მეოთხეში — მაღალკლასელები.

ბევრი მხატვარი აღიზარდა ქუთაისის პიონერთა სასახლეში ალექსანდრე ტოგონიძის ხელმძღვანელობით. ჟურნალ „პიონერის" მკითხველები კარგად იცნობენ ზურაბ ფორჩხიძეს, რომელსაც მათთვის დაწერილი არა ერთი მოთხრობა და პოემა დაუსურათებია. მხატვრები — დიმიტრი დანგაძე, ბორის ციბაძე, ხოსო ჩოგოვაძე და, რომელი ერთი ჩამოვთვალოთ, — ისინი ყოველთვის მადლიერების გრძნობით იგონებენ პიონერთა სასახლეს და მათ საყვარელ მასწავლებელს ალექსანდრე ტოგონიძეს.



გულმოდგინედ ემზადება მესამე რესპუბლიკური სპარტაკიადისათვის პეტრე ჟანია. მის რაკეტმოდელს ყველა გამარჯვებას უწინასწარმეტყველებს.

საქტო დარბაზი პიონერ-მოსწავლეებით გაივსო. მესამე ზარის შემდეგ შუქი ჩააქრეს, განათდა კინოეკრანი და მაყურებლებმა წაიკითხეს: „ილია მურომეცი". უწინ თუ პიონერები ქალაქის კინო-თეატრებში დადიოდნენ ფილმების სანახავად, ახლა მათ საკუთარი კინოდანადგარი აქვთ. ზურაბ გვიტაძის ხელმძღვანელობით პიონერ-მოსწავლეები ეუფლებიან კინომექანიკოსის საქმეს, ეცნობიან და სწავლობენ სახწავლო-სადემონსტრაციო აპარატის „უკრაინა პპ-16-1"-ის მოწყობილობას.

ალექსანდრე კუბლაშვილი ქუთაისის 22-ე სკოლის მერვე კლასის მოსწავლეა. იგი და მისი ამხანაგები — მე-5 სკოლის მერვეკლასელი თენგიზ ბოჭორიშვილი და 31-ე სკოლის მეშვიდეკლასელი ვლადიმერ ჩუბინიძე ისე კარგად დაეუფლნენ კინოდემონსტრატორის საქმეს, რომ ახლა გამოცდილ კინომექანიკოსებსაც კი შეშურდებათ მათი.





„როგორ შეაფასებს ჩემს ნატიურმორტს მასწავლებელი?" — ღელავს ლევან მესხი.

ქუთაისელი პიონერები გულმოდგინედ ემზადებიან სპორტის ტექნიკურ სახეობათა მესამე რესპუბლიკური სპარტაკიადისათვის. მათ მიერ დამზადებული სასრბოლო მანქანების მოქმედი მოდელები დიდ სისწრაფეს ავითარებენ. აგერ, ჯონდო იამანიძე გულდაგულ ჩამკირკიტებს მოდელის ძრავას, სახეზე უკმაყოფილება ემჩნევა.

— რაო, ჯონდო, — გამოეხმაურა ავტომოდელისტთა წრის ხელმძღვანელი რეზო ტაბიძე, — ურჩობს შენი ძრავა?

— დენის ნაპერწკალი დროზე არ აღწევს სანთლებამდე და აფეთქება გვიან ხდება, — ადრეულზე უნდა გადავიყვანო.

— სწორია! — მოუწონა ხელმძღვანელმა და ახლა იქვე მოფუსფუსე ამირან ჩიტიანს გადახედა. ამირანს საჭრისი და ჩაქუჩი მოემარჯვებინა. იგი გულმოდგინედ თლიდა მანქანის კორპუსს.

— ამირან, ჩაქუჩს მაგრად ნუ ურტყამ.



# საგურამოში

ჯანსუღ ჩარკვიანი

ჭავჭავაძის სახლის
სურვილი გვაქვს ნახვის, —
ყველამ უნდა ნახოს
ჭავჭავაძის სახლი.

გაგა მარშრუტს ხაზავს,
გაგა გეგმებს ადგენს —
კვირა დილით ყველა
ადრე უნდა ადგეს.

მოვამზადებთ უცებ
კარვებსა და ჩანთებს,
კოვზებს, ჭიქებს, თეფშებს —
ზურგჩანთებში ჩავდებთ.

თამუნა და მაკა
მოგვიმზადებს საგზალს,
თუ მოგვშივდა გზაზე,
გიახლებით გზა-გზა.

გავქროლდებით ტაქსით,
მივადგებით ვაგზალს,
ბილეთებით ხელში,
იქ დაგვხვდება ზაზა.

მერე ძველი მცხეთით,
ფეხით ვივლით მზე-მზე,
გავუყვებით ფეხით,
საგურამოს გზებზე.

ჭავჭავაძის სხივი
ჩაგვიდგება თვალში
და ილიას სახლთან
მზისფერ კარვებს გავშლით.



წუთიც და, ნორჩი კინოდემონსტრატორი აპარატს ჩართავს.

ავთანდილ აბაიშვილს და წრის სხვა წევრებს კარგი ჩანაფიქრი აქვთ, და თუ მას წარმატებით განახორციელებენ, — სპარტაკიადაზე არ შერცხვებიან.

ხარკოვის საავიაციო ინსტიტუტიდან ქუთაისის პიონერთა სასახლეში წერილი მიიღეს. წერილის ავტორი, მესამე კურსის სტუდენტი მიხეილ წულაძე კმაყოფილებით იგონებს სასახლის ავიომოდელისტთა წრეში გატარებულ წლებს და აღნიშნავს, რომ მას წრეში მუშაობამ გაუადვილა ინსტიტუტში სწავლა. წრის წევრებმა ყურადღებით გადაიკითხეს ეს წერილი და გადაწყვიტეს — შეიძლება ზედმეტად ჩახვრა, — ძარა დაზიანდება.

პიონერთა სასახლის ავტომოდელისტები რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე შვიდი წევრისაგან შემდგარ გუნდს გზავნიან. ამათგან ხუთი ავტომოდელისტი გუნდურ პირველობაში მიიღებს მონაწილეობას, ხოლო ორი — პირად პირველობაში.

ავტომოდელისტებს არც რაკეტული მოდელების წრის წევრები ჩამორჩებიან. ისინიც გულმოდგინედ ემზადებიან სპარტაკიადისათვის და ახლა მთელი ჯგუფი რაკეტოდრომის მოქმედ მაკეტზე მუშაობს.

ავთანდილ სოფრომაძეს, თემურ ძაგნიძეს, კიდევ უფრო მეტი მონდომებით შეისწავლონ საავიაციო საქმე. მათ მიერ დამზადებული თვითმფრინავების მოქმედი მოდელები მნახველთა ყურადღებას იპყრობს. ნორჩი ავიომოდელისტები ახლა რესპუბლიკური სპარტაკიადისთვის ემზადებიან და ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა წარმატებას მიაღწიონ.

იქვე, ავიომოდელისტების გვერდით, ნორჩი გემთმშენებლები ფუსფუსებენ. აგერ თეიმურაზ ფხაკაძე და გარი აგალაროვი თავიანთ სასეირნო კატერებს ჩაჰკირკიტებენ იქით პეტრე ქანიო დახრილა დაზგაზე და რაკეტმზიდ ნაღმოსანს ამზადებს.

ამასწინათ, ნორჩ გემთმშენებლებს ბათუმის საზღვაო-სასწავლებლის მესამე კურსის სტუდენტი ვასილ ლომთაძე ეწვია. მან სიყვარულით ილაპარაკა წრეში გატარებულ წლებზე და ბოლოს ყველას მოუწოდა, — აქედანვე გულმოდგინედ შეუდგნენ სწავლას, თუ მათ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი — გახდნენ ნამდვილი გემთმშენებლები.

ყურადღებას იპყრობს გამოფენის დარბაზი. მის მოწყობაში სასახლის თითქმის ყველა წრეს მიუღია მონაწილეობა. რას არ ნახავთ აქ გამოფენილს; აგერ, ფირფიცრისაგან გამოჭრილი ლამაზნაყშებიანი წიგნის თაროები, ნორჩ მხატვართა ტილოები, თოჯინების ეროვნული ტანსაცმლები, სხვადასხვა მოქმედი მოდელები და მაკეტები, თვითმფრინავები, გემები, რკინიგზები და სხვა მრავალი. აგერ, პლასტელინისაგან გამოძერწილი ორი თიკანი ხიდზე შეხვედრილან, პატარა რქებით ერთმანეთს ეჯახებიან და გზას არც ერთი მათგანი არ თმობს, — ჯიუტობენ. იქით, ნამდვილი ჯუნგლები მოუწყვიათ პატარა ხელმარჯვეებს.

ერთი სიტყვით, ეს დარბაზი ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის საინტერესო და შინაარსიანი ცხოვრების ნამდვილი სარკეა.



„ჯიუტი თხები" — ასე უწოდეს თავის ნამუშევარს პატარა ხელმარჯვეებმა.



ოთარ სადრაძე

# ქაჯანეთის გზა



მხატვარი ჯემალ ლოლუა

## სტარტი

მკრთალად ბჟუტავდა შემოსასვლელში დადგმული ფარანი. ბავშვების სილუეტები მონაცრისფერო-მოშავო ბურუსში იყო გახვეული. სწორად თლილ კედლებს ტყვიისფერი გადაჰკრავდა.

გიგიმ ამოიგმინა, მეორე გვერდზე გადაბრუნდა და უსიამოვნო სიზმრით შეწყვეტილი ძილის გაგრძელება სცადა. ვერ მოახერხა, თვალები გაახილა და საძილე ტომრიანად წამოჯდა. ყური მიუგდო. ჩამიჩუმი არ ისმოდა. დრო და დრო მყუდროებას ზვიადის ხვრინვა თუ დაარღვევდა. ხელისფათურით მოძებნა ჯიბის ფარანი და შუქი ჩართო. სიბნელიდან ქვაბის დამუნჯებული კედლები გამოხტა და უფრო მეტად გამოიკვეთა საძილე ტომრებში ჩამძვრალი ბავშვების სილუეტები. გიგიმ საათზე დაიხედა. „ნუკრის შეცვლის დროა", — გაიფიქრა მან და ფარანი ნუკრის მხარეს მიანათა.

დასასრული იხ. „პიონერი" № 5, 6.

ნუკრი არ ჩანდა.

ამაოდ დაბობღავდა ფარნის მრგვალი შუქი კედლიდან კედელზე, ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში. ნუკრის ჭაჭანება არსად არ იყო.

„ნუთუ განძის საძებრად წავიდა?!" — გაუელვა გიგის უცებ და მისდაუნებურად დაიყვირა:

— ნუკრი, აუ, ნუკრი!

ბავშვებმა გაიღვიძეს და ზლაზვნით წამოიშალნენ.

— რა მოხდა? — დაბოხებული ხმით იკითხა ვიტალიმ.

გიგი ყოყმანობდა. არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, — გაემხილა ეჭვი, თუ ცოტა კიდევ მოეცადა.

— დიდხანს მეძინა? — იკითხა მანანამ.

— საკმაოდ, — მკვახედ მოსჭრა ზვიადმა, რომელსაც ძილი დააკლდა და უგუნებოდ იყო.

მზისავარი ყველაზე ბოლოს წამოდგა, საათზე დაიხედა და გაოცებულმა თქვა:

— გათენებულა, ბავშვებო.

ბანაკი აფუსფუსდა. აიშალა. ყველა საკუთარი ბარგის ალაგება-შეკვ-

რას შეუდგა და ნუკრი არავის არ გახსენებია. გიგი კი ადგილს ვერ პოულობდა. რამდენჯერმე მთავარ დერეფანშიც გავიდა, მაგრამ ნუკრის კვალს ვერსად მიაგნო.

„თუ მართლა განძის საძებრად წავიდა, მოსაკლავია“, — გაიფიქრა გიგიმ. სწორედ ამ დროს პარალელურ დერეფანში ვიღაცამ შეჰკივლა:

— ნაკვალევი!

შემზარავი იყო ხმა, უფრო შემზარავი კი — ნაკვალევთან დაკავშირებული წარმოდგენები. გიგიმ ერთად შეჯგუფულ ბავშვებთან მიირბინა და ფარნების შუქით განათებულ, უთოს ფორმის შავად მოჭიქულ ნაკვალევს დააშტერდა. ნაკვალევი ზუსტად იმ ადგილას თავდებოდა, სადაც ნუკრი იჯდა.

„მოიტაცა“, — გაუელვა თავში გიგის და ხმამაღლა იკითხა: —ნუკრისთვის ხომ არ მოგიკრავთ თვალი?

— არა, რა იყო?

— ნუკრი! — გასძახა გიგიმ.

— ნუკრი! — იძახის ვიტალი.

— ნუკრი, ნუკრი, ნუკრი, — გაიმეორეს ქვაბებმა და ბოლოს სულ მიილია, მიწყდა ხმა. ყველამ გიგის შეხედა. გიგი ელოდა ასეთ შემოხედვას და არ დაბნეულა.

— განძის საძებრად წავიდა, ალბათ, — იცრუა მან, რადგან თავის ეჭვებში ბოლომდე არ იყო დარწმუნებული.



ბავშვებმა ნაკვალევზე მიუთითეს. ზვიადმა უკან დაიხია და მოულოდნელად წამოიყვირა:

— იგი აქ არის.

— ვინ? — გაოცდნენ ბავშვები.

— იგი...—ზვიადს ხმა აუთრთოლდა.·— ნუთუ ვერ ხედავთ, რომ ნაკვალევი მხოლოდ ერთია, — ამბობდა იგი, — მეორე ნაკვალევი არ ჩანს. მაშასადამე, იგი უკან არ გაბრუნებულა და სადღაც აქვე დგას.

ზვიადმა თოფი დაცალა, მაგრამ მდგომარეობა არ შეცვლილა. შეშინებულმა ბავშვებმა უკან დაიხიეს, ბარგს ხელი წამოავლეს და უკან-უკან სიარულით გაეცალნენ საბედისწერო ადგილს. როცა კარგა მოზრდილი მანძილით მოსცილდნენ ნაკვალევს, უცებ შეტრიალდნენ და, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, მოჰკურცხლეს. სულმოუთქმელად გარბოდნენ, ერთმანეთს ეკვროდნენ და ხმას არ იღებდნენ. კლდეში ნაკვეთი დერეფანი მოულოდნელად გათავდა და ბავშვები ისევ მიწისქვეშა გამოქვაბულში აღმოჩნდნენ. უსწორმასწორო გამოქვაბული ყოველ წუთს იცვლიდა ფორმას და მიმართულებას; იგი ხან მეტისმეტად ფართოვდებოდა, ხან კი ისე ვიწროვდებოდა, რომ ძლივს მიძვრებოდნენ ნაპრალში.

— სანამდე უნდა ვირბინოთ? — იკითხა ვიტალიმ, — იქნებ სჯობს, გავჩერდეთ და მოვითათბიროთ.

— აჯობებს, — დაეთანხმა ზვიადი.

— გავჩერდეთ, — თქვა გიგიმ.

ბავშვები შედგნენ, ბარგი კედელთან მიჰყარეს და ზედ ჩამოსხდნენ. მზისავარმა სამგზავრო აფთიაქი გახსნა, ვიტალის დაშავებული მუხლისთავი სპირტით მოჰბანა და გულდაგულ შეუხვია.

— რაღაც უნდა მოვიფიქროთ, — თქვა ზვიადმა, — მეგობარს ხომ ვერ დავტოვებთ განსაცდელში.

— თუ მართლა თვითნებურად წავიდა განძის საძებრად, ერთი გემოზე შევახუროთ.

— ვიტალი მართალია, — დაეთანხმნენ გოგოები.

— იქნებ უმჯობესია, ჯერ თავი დავაღწიოთ აქაურობას, — თქვა გიგიმ, — ყველაფერი ოპერატიულ შტაბს ვაცნობოთ და შემდეგ ისე მოვიქცეთ, როგორც ისინი გვეტყვიან.

— რას ამბობ,— გაწყრა მზისავარი, — რა დროს ინსტრუქციით მოქმედებაა, დაუყოვნებლივ დავიწყოთ

ძებნა! ესეც განძი ხომ არ არის, აქ ადამიანის ბედი წყდება.

— რას გაწიწმატდი, — შეუტია გიგიმ, — თუ შენ სხვაზე უფრო მეტად შეგტკივა გული! — მერე დახარჩენებს მოუბრუნდა და ისევ გააგრძელა, — ამას ჰგონია, მე ძებნის წინააღმდეგი ვარ. პირიქით. მაგრამ თუ ნუკრი მართლა უხილავმა მდევარმა მოიტაცა, აქ ჩვენ უქმად დავკარგავთ დროს. გამიგეთ?

— გიგი მართალია, — თქვა ზვიადმა, — სერიოზული ძიებისათვის ჩვენ მოუმზადებელი ვართ. რამდენიმე საათის შემდეგ სათადარიგო ბატარიები დაიცლება და მერე მშვიდობით — აქედან ვეღარ გავაღწევთ. იქნებ მართლა ჯობდეს — გავიდეთ და ყველაფერი მთავარ შტაბს ვაცნობოთ.

— სწრაფად გადავწყვიტოთ. დრო გადის, უხილავი მდევარი შეიძლება ისევ გამოჩნდეს, — თქვა მანანამ და ფეხზე წამოდგა.

უხილავი მდევრის გახსენებამ დააჩქარა გადაწყვეტილების მიღება. სახელდახელოდ ისაუზმეს, ბარგი გადაალაგ-გადმოალაგეს და სალაშქროდ აიშალნენ. მსვლელობას ისევ გიგი ჩაუდგა თავში და რაზმი დაიძრა. გამოქვაბული თანდათან გაფართოვდა, ამაღლდა, გადიდდა, დარბაზებად დაიყო. გახშირდა გიგანტური სქალაქტიდები. კედლებიდან წყალმა დაიწყო ჟონვა, აქა-იქ ანკარა წყაროები დიდრონი მარგალიტივით ბრწყინავდნენ შუქზე. ქვაბის ფსკერზე გროვდებოდა წყალი და პატარა ნაკადული რაკრაკით მიიკვლევდა გზას ჟანგისფერ ქვებს შორის. ბავშვები მდინარის მიმართულებით მიდიოდნენ, რადგან იცოდნენ, რომ მდინარე აუცილებლად გარეთ გავიდოდა. მდინარე თანდათან შეტბორდა და რაზმი პატარა მიწისქვეშა ტბასთან შედგა. ტბა იყო საოცრად ლურჯი და სარკესავით ლაპლაპა. მეორე მხარეს, ბექობთან, გამოქვაბულის ჩამოშავებული ღრმული ჩანდა. მზისავარმა კენჭი აიღო და ტბაში ისროლა. ტბაზე რგოლები გაიშალა და ნაპირს სუსტი ტალღა შეეთამაშა. შორიდან გუგუნისა და გაურკვეველი ლაპარაკის ხმა მოისმა. ბიჭები დაწინაურდნენ და ბექობზე ავიდნენ. ზვიადმა თოფი მოიმარჯვა და იქვე, დიდი ლოდის გვერდით ჩაიმუხლა. მალე გოგონებიც ამოვიდნენ ბექობზე და მზისავარმა ჩურჩულით იკითხა:

— რა ხდება, ვინ არიან?

— ეშმაკმა უწყის, — ჩურჩულით უპასუხა ვიტალიმ.

— იქნებ... ნუკრია, — თქვა ზვიადმა და მთელი ხმით დაიყვირა: — ნუკრი, აუ, ნუკრი!

ქვაბი აზანზარდა. რომელიღაც სუსტი სქალაქტიდი თალს მოსწყდა და ტყლაშანით ჩავარდა ტბაში. ტბამ ჩაიბუყბუყა. შორიდან ვიღაც ისე სუსტად გამოეხმაურა ძახილს, რომ ბავშვებმა სიტყვები ვერ გაარჩიეს. სამაგიეროდ, ახლა ყველამ ერთდროულად დაიყვირა. ექო გრგვინვასავით დაირხა ქვაბში. შორს, ქვაბის სიღრმეში, ჯერ ერთი სინათლე გამოჩნდა, შემდეგ მეორე, მესამე... და მალე, მოფარფატე ნათურების რიცხვმა ექვსს მიაღწია. სინათლეები მოძრაობდნენ და პირდაპირ ბავშვებისაკენ მოდიოდნენ. ახლა სხვა ბიჭებმაც იკადრეს, ჩასაფრდნენ და ახალი მოულოდნელობის წინაშე გაისუსნენ. ყველაზე წინ გიგი ჩასაფრდა და სულგანაბული ელოდა, რა მოხდებოდა. თვალი თანდათან შეეჩვია სიბნელეს. გიგიმ ადამიანების სილუეტები გაარჩია. მერე მათი ხმებიც მოესმა. ერთ-ერთის ხმა ძლიერ ეცნაურა, ფრთხილად გამოძვრა საფარიდან და ომახიანად გასძახა:

— ეჰეი, რომელი ხარ?

— მეოთხე რაზმი, — იყო პასუხი, — მურადი ვარ.

— მურადი?

ბავშვები ყვირილით წამოცვივდნენ საფრებიდან და შესახვედრად გაექანნენ. ათიოდე მეტრის იქით ორი რაზმი ერთმანეთში აირია. შეძახილებსა და კითხვა-პასუხებს ბოლო აღარ უჩანდა. ყველა ერთდროულად ლაპარაკობდა, ერთმანეთს უშლიდნენ ხელს. ყველას უნდოდა პირველს ეთქვა რამე, პირველს გაეგო რაღაც; და ამ საერთო ყაყანში კაციშვილს არაფერი ესმოდა. ბოლოს, როგორც იქნა, დაშოშმინდნენ. შეხვედრით გამოწვეულმა პირველმა აღტაცებამ გაიარა და დამშვიდებით მოიკითხეს ერთმანეთი.

— შორს არის გასასვლელი? — იკითხა გიგიმ.

—ნახევარი საათის სავალიც კი არ იქნება, — უპასუხა მურადმა.

— აქ როგორ გაჩნდით, რამ მოგიყვანათ? — იკითხა ზაზამ.

— ჩვენ ჯერ, პირობის მიხედვით, გამოქვაბულის გამოსასვლელთან გელოდით; შემდეგ, როდესაც თქვენთან კავშირი გაწყდა, ბრძანება მივიღეთ — შესახვედრად წამოვსულიყავით. თქვენ რაღა მოგივიდათ, რატომ დაიგვიანეთ?

— ეჰ, — ხელი ჩაიქნია გიგიმ. — ჩვენ იმდენი რამე გადაგვხდა, რომ ასე უცებ ვერ მოგიყვები. ჯერ იყო და უხილავმა მდევარმა არ მოგვასვენა, მერე მიწისქვეშა აკლდამა აღმოვაჩინეთ, ბოლოს — ნუკრი დაიკარგა და...

— ნუკრის დაკარგვის ამბავი ვიცით, — შეაწყვეტინა მურადმა, — ძირითად საძიებო ჯგუფს დაუნახავს, როგორ მიათრევდა მას კონუსის ფორმის კიბერი შუშხუნისაკენ.

— მერე? — შეშფოთებით იკითხა მანანამ.

— მერე არაფერი. შუშხუნას ვერავინ ვერ ეკარება. მის გარშემო ისეთი ძლიერი ველია, რომ ხუთასექვსასი მეტრის რადიუსზე ყველაფერს სპობს. მხოლოდ წყეული კიბერები დასეირნობენ არხეინად და, რასაც კი მოიხელთებენ, ყველაფერს შუშხუნაში მიათრევენ. ვარაუდობენ, რომ შუშხუნა ავტომატურია და იგი ჩვენთან დასაზვერად არის მოფრენილი.

— უფროსები რას ამბობენ ნუკრიზე? — მოუთმენლად იკითხა მანანამ.

— იმედს არ კარგავენ. ახლა ნუკრის ბედი მილიონობით ადამიანს აინტერესებს. თუ შუშხუნა უეცრად არ აფრინდა, ბოლოს და ბოლოს მოახერხებენ ნუკრის დახსნას; თუ გაფრინდა... — მურადმა აზრი აღარ დაამთავრა და საძილე ტომარაზე ჩამოჯდა.

უხერხული დუმილი ჩამოვარდა. ბავშვები მურადის გარშემო შეჯგუფდნენ და ელოდნენ, როდის დაამთავრებდა იგი აზრს.

„რაღაცას გვიმალავს“, — გაიფიქრა გიგიმ, — „ნეტავ, რას?“ — მერე თავში საშინელმა აზრმა გაუელვა და შეშფოთებულმა იკითხა:

— ცოცხალია? —

მურადმა მხრები აიჩეჩა.

ბავშვებმა მოიწყინეს, ყველაზე მეტად — მანანამ. იგი ცქმუტავდა და ერთ ადგილზე ვერ ისვენებდა.

— რატომ ვზივართ აქ? — იკითხა მან. — წავიდეთ, იქნებ რამე ვიღონოთ და დავეხმაროთ ნუკრის...

— მანანა მართალია, — თქვეს ბიჭებმა, — აქ დგომა არას გვარგებს, წავიდეთ.

გაერთიანებული რაზმი დაიძრა.

უკვე იგრძნობოდა გასასვლელის სიახლოვე. ოდნავ დათბა. ჰაერი დაიწმინდა და დასუფთავდა. პაწია ნაკადული გაიზარდა, დასრულდა. კალაპოტი ჩაიხრამა და დატყდა. შუქმა იმატა. ბავშვებმა ჯიბის ფარნები ჩააქრეს. წინ ნაცრისფრად ჩამუქებული ქვაბის ყელი გამოჩნდა. გასასვლელში ჩამდგარი თაკარა ჰორიზონტი მზის მოლივლივე მასას ამოევსო. გაშმაგებული მდინარე ქვებს აწყდებოდა, ზედ გადადიოდა და, ქაფად ქცეული, ღრიალით მიიწევდა წინ. ვინ იფიქრებდა, რომ იგი წვეთ-წვეთად იშვა უკუნეთში. შეიძლება სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ასე თავდავიწყებით მიილტვოდა იგი სინათლისაკენ. სინათლის მაგიური ძალა ბავშვებსაც უხმობდა თავისკენ. ნაბიჯს აუჩქარეს. ბოლოს, როგორც იქნა, გააღწიეს გარეთ, ჩანჩქერის ახლოს შედგნენ და სამშვიდობოს გასვლა მიულოცეს ერთმანეთს.

უცებ, ზედიზედ იძრა მიწა. მიწისძვრას გუგუნი მოჰყვა, გუგუნი ზმუილმა შესცვალა და თანდათან გაძლიერდა.

„რაღაც ამბავია“, — გაიფიქრა გიგიმ და ხმამაღლა დაიძახა:

— მომყევით!

ორივე რაზმი აბალახებულ ბილიკზე დაეშვა. გარბოდნენ სულმოუთქმელად, ერთმანეთს ასწრებდნენ და ხშირად, მოკლეების ძებნაში, უფრო იგრძელებდნენ გზას. ბილიკი დაბურულ ხეებს შორის მიიკლაკნებოდა. ისმოდა გოგონების წიკვინი და ბიჭების შეძახილები. ერთ ადგილს კარგა მოზრდილ რუს მიადგნენ. ბიჭები გახტნენ, მაგრამ გოგოები წყალში ჩავარდნენ და მთლად გაილუმპნენ, მაინც იხტიბარს არ იტეხდნენ და მისდევდნენ ბიჭებს.

შორს რაღაცამ დაიბუხუნა, მერე შიშინის ხმა მოისმა. გიგი მურადს წამოეწია და იკითხა:

— რა ხმა იყო?

— შუშხუნის ძრავას ხმას ჰგავდა, — უპასუხა მურადმა.

ამ მოკლე წინადადებით ყველაფერი ითქვა. გიგი შედგა, მთელი ძალით დაუსტვინა და ჩამორჩენილ ამხანაგებს ხელი დაუქნია.

ბილიკმა გაივაკა, გაფართოვდა და საურმე გზას შეუერთდა. ახლა ბავშვები ჯგუფ-ჯგუფად გარბოდნენ და ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, ათას რამეს ვარაუდობდნენ.

ტყე გამეჩხერდა, გზა ვაკეზე გაიჭრა და ბალახში გაუჩინარდა. ბავშვები ვრცელი მინდვრის ნაპირას შედგნენ.

შორს, საკოლმეურნეო ხნულებს იქით, სამ მონაცრისფერო ამორტიზატორზე უცხო სამყაროს შუშხუნა იდგა და ვიბრატორივით ცახცახებდა. მართალია, შუშხუნა მეტისმეტად შორს იყო და ბევრი რამ კარგად არ ჩანდა, მაგრამ მისი სწორი ფორმებით მოხიბლული ბავშვები თვალს ვერ აშორებდნენ მას. შუშხუნის ახლომახლო სხვადასხვა ფერის კიბერები დარბოდნენ, ხან ერთად ქუჩდებოდნენ, თითქოს საუბრობენო, და მერე ისევ განაგრძობდნენ სირბილს.

— გასაფრენად ამზადებენ, — თქვა ზვიადმა და ამხანაგებს ურჩია, — რამეს მოეფარეთო.

— ჩვენ ისე შორს ვართ, რომ აქ საშიში არაფერია, — შეესიტყვა ზვიადს ვიტალი.

ბავშვებმა საფარად დიდი ლოდი აარჩიეს და მოხერხებულად მოკალათდნენ. მიმოიხედეს და მხოლოდ ახლა შეამჩნიეს ფერდობებზე აქა-იქ შეფენილი ხალხი. ადამიანები ჯგუფებად იდგნენ უცნაური ფორმის ხელსაწყოებთან და თავ-თავიანთი საქმით იყვნენ გართულნი. ჯგუფების განლაგებაში თავისებური სიმეტრია იგრძნობოდა. გიგიმ დაასკვნა:

„ალბათ უფრო მიახლოვება აღარ შეიძლება“.

იქვე სხვადასხვა ფერისა და კონსტრუქციის ვერტმფრენები ჩანდა. აქ იყო პირადი სარგებლობის ერთადგილიანი და ორჩარჩოიანი სამგზავრო მანქანები. სახელდახელოდ აგებული რადიოლოკატორის დასვრეტილი ბადე შუშხუნისაკენ იყო მიმართული. ძირითადი საძიებო ჯგუფი სხვადასხვა კოდით ცდილობდა კავშირის დამყარებას. ჩვენი ქვეყნის ყველა გადამცემი ცენტრი ერთდროულად მილიონობით ელექტროიმპულსებს უშვებდა ეთერში, იქნებ რომელიმე მათგანს გამოეხმაუროს შუშხუნაო. მძლავრი ელექტრომაგნიტური ველით შუშხუნის ბლოკირება არ მოხერხდა, ვინაიდან ახლომახლო ასეთი დანადგარი არ არსებობდა. ხოლო შორი მანძილიდან ბლოკირებას შედეგი არ მოჰყვა. შუშხუნას შეუღწეველი ველი გააჩნდა, რომელიც საკმაოდ ძლიერი იყო.

გუგუნით გადაიფრინა ძირითადი საძიებო ჯგუფის ვერტმფრენმა ბავშვების თავზე. თითქოს ამას ელოდაო, უფრო აცახცახდა შუშხუნა. კიბერები ერთ ადგილას გაირინდნენ, მერე ერთრიგად დაეწყვნენ, შეხტნენ და შუშხუნაში გაუჩინარდნენ. მრგვალი კარები მჭიდროდ ჩაეხრახნა შუშხუნის კორპუსს. ამორტიზატორები დაიჭიმა. შუშხუნის ბოლოდან ბოლქვებად გამოვარდა თეთრი კვამლი და გარს შემოეხვია მას.

— საცაა გაფრინდება, — თქვა ზვიადმა. სწორედ ამ დროს, მთად დამდგარი კვამლიდან თანდათან ამოიწვერა შუშხუნა. წვერს მოჰყვა პირველი დანაყოფი, პირველს — მეორე, მესამე და... ილუმინატორიც გამოჩნდა.

— ის არის, ის! — იყვირა მანანამ და საფარიდან გამოვარდა. მას მოეჩვენა, თითქოს ილუმინატორთან ნუკრი იდგა.

— დაწექი! — დაიღრიალა ზვიადმა, მაგრამ გვიანღა იყო. შუშხუნა კვამლს გამოეყო, ამორტიზატორები ბუდეებში შეიკეცა, უკან ცეცხლის ენა გამოიბა და ზეცას ექვეთა. მანანამ მკერდის არეში ტკივილი იგრძნო, თვალთ დაუბნელდა, დაბარბაცდა და გულაღმა დაეცა.

* * *

— სადა ხარ ამდენ ხანს? — უსაყვედურა გიგიმ დაგვიანებულ სტუმარს და სკამი შესთავაზა.

— ექიმთან ვიყავი, — თავი იმართლა მანანამ, — არაფრით არ მიხორცდება ჭრილობა. ერთ კვირას კიდევ უნდა ვიარო.

— ბედი შენი, რომ გადაცემა არ დაწყებულა, — ჩურჩულით თქვა ზვიადმა და უბის წიგნაკში რაღაც ჩაინიშნა.

მანანა რაზმის წევრებს მიესალმა და გიგის გვერდით ჩამოჯდა თავისუფალ სკამზე. ტელევიზორი საამოდ აციმციმდა. მერე ეკრანზე განსაკუთრებული მაუწყებლობის ნიშანი — წითელი ხაზი გაწვა და გამოჩნდა ადგილობრივი მაუწყებლობის დიქტორის სახე.

— ყურადღება, ყურადღება, — მოისმა მიმღებიდან, — რამდენიმე წუთის შემდეგ ჩავრთავთ თბილისს. ვიმეორებ...

ყველაფერი ზუსტად ისე იყო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც რამდენიმე ხნის წინათ. ეს იყო მხოლოდ, ამხანაგებს შორის ნუკრი არ ჩანდა და მაგიდაზე დაუმთავრებელი მინიატურული რადიოგადამცემები არ ეწყო.

— დღეს ჩვენს მიერ აღმოჩენილ აკლდამაზე იქნება ლაპარაკი, — ჩურჩულით თქვა მზისავარმა, — უფროსმა პიონერხელმძღვანელმა მითხრა, რომ შესაძლებელია ექსპედიციაში ჩვენც წაგვიყვანონ, თუმცა ისიც თქვეს, რომ...

— მე ნუკრის ბედი მაინტერესებს, —შეაწყვეტინა მანანამ მზისავარს, —დღეს უნდა შეხვდნენ კოსმოსში ერთმანეთს ჩვენი და უცხო სამყაროს შუშხუნები. საინტერესოა, მოახერხებენ ჩვენები აბორდაჟს თუ ვერა.

— მოახერხებენ, — დარწმუნებით თქვა ვიტალიმ.

— ძნელია, — არ დაეთანხმა ზვიადი.

— ავტომატური შუშხუნის აბორდაჟი იოლია, — ხმას აუწია ვიტალიმ, — ასეთი შემთხვევები ბევრი ყოფილა. გახსოვს, როგორ აიყვანეს აბორდაჟზე ჩვენებმა ორბიტას აცდენილი ამერიკული თანამგზავრი? ან...

— ისინი წინასწარ იყვნენ პროგრამირებული, ეს კი, ვინ იცის! გარდა ამისა, ამ შუშხუნას ისეთი ძლიერი დაცვა გააჩნია, რომ მისი აბორდაჟი შეუძლებელია.

— კოსმოსში სხვა პირობებია, — არ თმობდა ვიტალი.

— კარგი ერთი, — გაწყრა გიგი, — ბოლო აღარა აქვს თქვენს კამათს. მოთმინება იქონიეთ, მოვისმინოთ გადაცემა და მერე თუგინდ დილამდე ვიკამათოთ.

ბავშვები დადუმდნენ.

თბილისელი დიქტორი, ჩვეულებრივი მისალმების შემდეგ, პირდაპირ საქმეზე გადავიდა. ჩვენებს მოუხერხებიათ უცხო სამყაროს შუშხუნის დამორჩილება. ნუკრის ბედი გაირკვა. იგი ცოცხალია და რამდენიმე დღის შემდეგ დედამიწაზე დაბრუნდება. მეხუთე პიონერულ რაზმს დღეიდან „კოსმოსური“ რაზმი ეწოდა და პიონერულ ორბიტაზე პირველი კოსმოსური გაფრენის უფლებით დაჯილდოვდა.

ერთსულოვანმა ვაშამ ფანჯრის მინები შეაზანზარა. ბავშვები ერთმანეთს გადაეხვივნენ.

თბილისელი დიქტორი დაწვრილებით მოჰყვა კოსმოსური აბორდაჟის დეტალებს. მერე, ნუკრის ჯანმრთელობის ბიულეტენი გადმოსცა და პიონერულ ბანაკს „რაკეტოდრომს“ ერთი კიბერნეტიკული მზვერავის გადაცემა აღუთქვა.

—ვაშა, ჩვენ საკუთარი კიბერი გვეყოლება! — წამოიძახა მანანამ.

დაიწყო გადაცემის მეორე განყოფილება. ახალგაზრდა დიქტორმა მხცოვან მამაკაცს დაუთმო ადგილი. როგორც შემდეგ გამოირკვა, ეს მხცოვანი მამაკაცი ერთი იმათთაგანი იყო, რომლებმაც პირველებმა გაიკეთეს წითელი ყელსახვევი და საქართველოში პიონერულ მოძრაობას ჩაუყარეს საფუძველი. სწორედ მათი ინიციატივით დაუწყია რესპუბლიკურ პიონერულ საბჭოს ლაშქრობა-გართობა გაუკვალავი გზებით. შუშხუნის გამოჩენა შემთხვევით დაემთხვა ლაშქრობას და უფრო მეტი რომანტიკა შემატა მას. მეხუთე რაზმის მიერ აღმოჩენილი ძეგლის მნიშვნელობაზე განსაკუთრებით შეჩერდა დიქტორი, გაიხსენა შემთხვევები, როდესაც სხვადასხვა ქვეყანაში ბავშვებმა დიდი ისტორიული მნიშვნელობის ძეგლები აღმოაჩინეს. მთელი საათი ილაპარაკა და იმდენი საინტერესო რამ მოჰყვა, რომ ყველაფრის დამახსოვრება ველარ შესძლეს ბავშვებმა. ბოლოს გადაცემა დამთავრდა, ეკრანი ჩაქრა და ოთახში ოცნებებით დამძიმებული დუმილი გამეფდა.

— მე დარწმუნებული ვარ, — თქვა გიგიმ, — რომ მიწისქვეშა სამალში განძთან ერთად ძველი ქართული ლიტერატურის ნიმუშებიც ინახება. ხომ შეიძლება „ვეფხისტყაოსნის“ შოთასეული ხელნაწერიც აღმოჩნდეს!

— მე კი მგონია... — წამოიწყო ვიტალიმ და, კამათმა ახალი ძალით იფეთქა.

ზვიადი წამდაუწუმ იყურებოდა საათზე. ბოლოს, ველარ მოითმინა და შეწუხებული წამოდგა.

— ერთი წუთით მომისმინეთ, მხოლოდ ერთი წუთით, — შეევედრა იგი ბავშვებს, — მე დღეს რაკეტოდრომზე მორიგე ვარ, ახლავე უნდა წავიდე. ხომ გახსოვთ: სამსაფეხურიანი შუშხუნის ახალი მოდელის გამოცდა ზეგ არის დანიშნული. არ დაიგვიანოთ!..

— ვიცით, ვიცით, — წამოიძახეს ბავშვებმა და შეწყვეტილი კამათი განაგრძეს.






ქალაქი ჰავანა. პატრული.

თენგიზ სამსონაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მექსიკა... კუბა... — ჯერ კიდევ ბავშვობაში ვოცნებობდი ამ შორეულ ქვეყნებზე.

ვინ მოსთვლის, რამდენი თავისებური და საინტერესო რამაა ამ ორ ქვეყანაში. აი, ჩემს სამუშაო მაგიდასთან, კედელზე ჰკიდია ვეება მექსიკური სომბრერო, რომელიც ქალაქ ტასკოში შევიძინე; აქვეა კუბიდან წამოღებული სუვენირები, ჰემინგუეის სახლის ეზოში მოწყვეტილი, უკვე დამჭკნარი პატარა ყვავილი. ჩემი სამგზავრო ალბომი სავსეა ჩანახატებით, ჩანაწერებით, ფოტოსურათებით, რომლებიც მომაგონებენ ამ ორი ქვეყნის ქალაქებსა და სოფლებს, ბუნებას, სტუმართმოყვარე მშრომელ ხალხს, განსაკუთრებით კი — ბავშვებს. ჩემს მეხსიერებაში ცოცხლობენ კუბელ და მექსიკელ ბავშვთა სახეები.

აი, მეხიკოს სასტუმროს პატარა ლიფტიორი, რომელიც ელოდება გასამრჯელოს ან სუვენირს უცხოელი ტურისტისაგან. აგერ, ბავშვები, კისერზე ჩამოკიდებული ყუთებით,— სულ რაღაც გროშად რომ გთავაზობენ ფეხსაცმელების გაპრიალებას. ქუჩა სავსეა გაზეთების მყვირალა, პატარა გამყიდველებით. ბავშვები ყიდიან ყველაფერს: თვითნაკეთ სუვენირებს, ამერიკულ საღეჭ რეზინს, სიგარეტებს... ისინი მზად არიან ყოველგვარი მძიმე სამუშაოს შესასრულებლად. რაოდენი კონტრასტია კუბელი ბავშვების ბედთან! კუბელ ბავშვებს ფართოდ აქვთ გზა გახსნილი ბედნიერი მომავლისაკენ. სიხარულით ივსები, როდესაც ხედავ ფიდელ კასტროს მითითებით ჰავანაში აშენებულ სასკოლო ქალაქს, სადაც რამდენიმე ათასი ბავშვი დიდი მონდომებით ეუფლება ცოდნას. დიდი, ნარინჯისფერი მზე რომ ამოცურდება, ათასობით ბავშვი, ზურგზე გადაკიდებული ჩანთით, მიიჩქარის სკოლისაკენ.

გთავაზობთ ჩემს რამდენიმე ჩანახატსა და ფოტოსურათს მექსიკისა და კუბის მკვიდრთა ცხოვრებიდან.



წარსულში განთქმული მექსიკელი მატადორი პროკუნა.




კორიდა.



კუბელი ბავშვები.



ჟურნალ-გაზეთების ჯიხურთან.



მეხიკოს ერთ-ერთი ქუჩა.

თოჯინების გამყიდველი.

9768

# კუბა მექსიკა







ხელოსნები.



პატარა კუბელი მოცეკვავეები.

გზა ქალაქ ტასკოსაკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

> „თუ წინასწარ ნათლად არ წარმოვიდგინე თეატრალური სცენა, ერთ ნოტსაც ვერ დავწერ.
>
> პუჩინი

# თეატრში ჯადოსნური ქნარები ჟღერს...



საოცრად მიმზიდველი ძალა იმალება თეატრში.

რა ღარიბი იქნებოდა ჩვენი ცხოვრება თეატრის გარეშე.

ჯერ კიდევ პატარაობისას შეგიყვანეს თქვენ ხელოვნების ამ წმიდა ტაძარში და მას შემდეგ, ცხოვრების მთელ მანძილზე, თეატრი განუწყვეტლივ გიზიდავთ და გაჯადოვებთ. თქვენი ცხოვრების სხვადასხვა ხანაში თეატრი ახლებურად, სულ უფრო ღრმად და მრავალფეროვნად გადაგიშლით სამყაროს სილამაზეს, გიხმობთ მაღალი იდეალებისაკენ, გიღვივებთ ჰუმანურ იდეებს, გასწავლით, გზრდით, აღაფრთოვანებთ...

თეატრის მაღალზნეობრივ აღმზრდელობით მნიშვნელობას ჯერ კიდევ შორეულ წარსულში აღიარებდნენ ბერძნები, რომელთა ხელოვნება უკვდავი გახდა.

ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ბერძნულ თეატრში, მსახიობების ოსტატობასთან, სცენურ სიმართლესთან და პოეზიის მნიშვნელობასთან ერთად, მუსიკას ენიჭებოდა.

ძნელია ზუსტად დავადგინოთ, როდის მოვიდა მუსიკა თეატრში, როდის აჟღერდა იგი პირველად სცენაზე. შესაძლოა, რომ მუსიკა და თეატრალური წარმოდგენები დაიბადნენ ერთდროულად.

არც ერთი სპექტაკლი, განსაკუთრებით, ხალხის წიაღში წარმოშობილი, არ სრულდებოდა პოპულარული ხალხური სიმღერებისა და ცეკვების გარეშე.

თქვენ, რასაკვირველია, კარგად გახსოვთ ლეონკოვალოს ოპერა „ჯამბაზები", რომელიც უნიკალური ნაწარმოებია იმ მხრივ, რომ მასში სპექტაკლი გათამაშებულია თვით სპექტაკლში, დრამა—დრამაში, სცენა—სცენაზე. ამგვარი სპექტაკლები ძლიერ პოპულარული იყო ხალხში, როდესაც მოქმედება სცილდებოდა სცენის ფარგლებს და ხალხი ხდებოდა სპექტაკლის უშუალო მონაწილე. როგორც წესი, ამგვარ წარმოდგენებს თან ახლდა მუსიკა, — ის აძლიერებდა მოქმედების შინაგან დაძაბულობას. მოიგონეთ ის მომენტი, როცა ეჭვით შეპყრობილი ჯამბაზი ჰკლავს თავის ცოლს და ხალხი შეძრწუნებულია მომხდარი ტრაგედიით. ეს სინამდვილეშიც ასე მოხდა. „ჯამბაზების" სიუჟეტი ლეონკოვალომ თვით ცხოვრებიდან აიღო.

მაგრამ კვლავ დავუბრუნდეთ ბერძნულ თეატრს. იშვიათად ტარდებოდა წარმოდგენა აქ მუსიკის გარეშე;




მუსიკის ემოციური, ზემოქმედებითი ძალა უსაზღვრო იყო. თეატრში სპეციალური ადგილი ჰქონდა განკუთვნილი გუნდს, რომელიც სიმღერით აძლიერებდა დრამატულ მოქმედებას. ამ ადგილს „ორხესტრა" ეწოდებოდა. შემდგომ, გუნდის მაგივრად, ეს ადგილი დაიკავეს მუსიკოსებმა, რომლებიც სხვადასხვა ინსტრუმენტზე უკრავდნენ და სპექტაკლის შინაარსს ხსნიდნენ. მრავალი წლის შემდეგ სიტყვა „ორკესტრმა", როგორც მუსიკოსთა ჯგუფმა, გადაინაცვლა ოპერაში და ამ ჟანრის საკუთრებად იქცა.

ძველ ბერძნულ ტრაგედიებში გუნდი ისევე აქტიური მონაწილე იყო მომხდარი ამბებისა, როგორც მთავარი მოქმედი პირები. იგი გამოდიოდა სპექტაკლის ყველა დაძაბულ ეპიზოდში და კიდევ უფრო ამძაფრებდა ტრაგედიას. გუნდის სიმღერა საოცრად გამომსახველი და ამაღლებული გახლდათ.

ბერძნული ტრაგედიის მონუმენტურ გუნდებს მოგვაგონებს ხალხის როლი, საგუნდო ეპიზოდები ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერში".

მართლაც, მთელი თავისი სიდიადით წარმოსდგება აქ ქართველი ხალხი. გუნდი განაზოგადებს ერის ტიპიურ თვისებებს და მოქმედ პირთა სულიერი დრამის აქტიური მონაწილე ხდება. გაიხსენეთ მესამე მოქმედების დიდებული ფინალი, — აბესალომისა და ეთერის განშორების სცენა, როდესაც ხალხი ემუდარება აბესალომს გაუშვას ეთერი ვე-

ლად. გუნდის ჟღერადობა თითქოსდა არღვევს თეატრის ვიწრო კედლებს, რათა ლაღად გაინავარდოს სივრცეში.

ამრიგად, ჯერ კიდევ ძველად, დრამა და მუსიკა ერთმანეთს ავსებდა თეატრში; ბევრი რამ დრამატული თეატრიდან გადავიდა მუსიკალურში, და — პირიქით.

ბოლოს და ბოლოს, თვით მუსიკალური თეატრის უმაღლესი განსახიერება — ოპერა, მისი პირველი დამაარსებლების, იტალიელების განსაზღვრით, ხომ მუსიკით ასახული დრამაა!

მუსიკა თეატრში აღრმავებს შინაარსს, გამოხატავს მოქმედების ადგილს, კიდევ უფრო გამოჰკვეთს მხატვრულ სახეებს, ამძაფრებს დრამას.

ჯერ კიდევ ბევრად ადრე, ვიდრე იტალიის ქალაქ ფლორენციაში, მე-16 საუკუნეში, ოპერა დაიბადებოდა, მუსიკას სულ უფრო და უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა თეატრში. საოპერო ხელოვნების თვით პირველი ნიმუშები წარმოადგენდნენ სცენიურ მოქმედებას მუსიკის თანხლებით, სადაც სიმღერა და სალაპარაკო მონოლოგები, დიალოგები ერთმანეთს ცვლიდა. ეს გახლდათ უაღრესად ქმედითი, ცოცხალი ხელოვნება, რომელმაც ხალხის უდიდესი სიყვარული მოიპოვა.

დროთა განმავლობაში ამ პირველი ნიმუშების საფუძველზე აღმოცენდა საოპერო ჟანრი. ათეული წლების მანძილზე ის ორი გზით ვითარდებოდა, დაიბადა ოპერის ორინაირსახეობა: ოპერა — სერია და ოპერა — ბუფა.

სერია, რაც სერიოზულს ნიშნავდა, ემსახურებოდა საზოგადოების მაღალ ფენებს; იგი იყო დიადი და ბრწყინვალე, მის წარმოდგენებზე მდაბიო ხალხს არ უშვებდნენ. სერიას დიდხანს არ უარსებია, რადგან მოწყვეტილი იყო ცხოვრებისეულ, ხალხურ საწყისებს.

სამაგიეროდ, სულ უფრო ვითარდებოდა ხალხის წიაღში შექმნილი ბუფა, ანუ კომიკური ოპერა.

ხალხს თეატრში არ უშვებდნენ, ამიტომ ხალხმა თვითონ შექმნა თავისი საკუთარი ხელოვნება — მხიარული, ცოცხალი, ყველასათვის მისაწვდომი.

პირველად ბუფა სრულიადაც არ იყო ისე სრულყოფილი, როგორც ჩვენ ახლა წარმოგვიდგენია ეს ჟანრი. ეს გახლდათ მხიარული, ხალხური წარმოდგენა სიმღერებისა და ცეკვების თანხლებით, რომლითაც დასცინოდნენ დიდგვაროვნებს. ხალხს არ გააჩნდა წარმოდგენებისათვის სპეციალური შენობა, ამიტომ სპექტაკლები უმთავრესად ღია მოედნებზე, ბუნების წიაღში ან ქუჩაში ეწყობოდა. წარმტაცი სოფლური პეიზაჟი დეკორაციის როლს ასრულებდა. რა გულიანად იცინოდნენ, როდესაც სცენაზე დამახინჯებული მეფეები, დედოფლები და უფლისწულები გამოჩნდებოდნენ! აქ უკვე აღარ არსებობდა ზღვარი მსახიობსა და მაყურებელს შორის. ყველა მღეროდა, ცეკვავდა, ყველა ერთად მხიარულობდა. ბუფის პირველი ავტორები უცნობია ჩვენთვის, ისევე, როგორც მისი პირველი შემსრულებლები. მოხეტიალე დასები ერთ თვეში რამდენიმე წარმოდგენას უჩვენებდნენ, სოფლიდან სოფელში, ქალაქიდან ქალაქში გადადიოდნენ.

ხალხური თამაშობანი, სიმღერისა და ცეკვის თანხლებით, ჩვენშიც არსებობდა, — ეს იყო ქართული ყეენობა. იგი ქალაქებსა და სოფლებში გაზაფხულზე ეწყობოდა და რამდენიმე სცენისაგან შედგებოდა: მტრის ურდოების შემოჭრა, მშვიდობიანი მოსახლეობის აწიოკება, საერთო სახალხო აჯანყება, განმათავისუფლებელი ბრძოლა, მოწინააღმდეგის დამარცხება, მტრის ყეენის დასჯა და, ბოლოს, გამარჯვებულთა ზეიმი.

ყეენობაში მონაწილეობდნენ მუსიკოსთა მთელი დასები. სანახაობას მუდამ თან ახლდა დაკვრა მუსიკალურ საკრავებზე (საყვირი, ზურნა, ჩონგური, ფანდური). ხალხიც მღეროდა, ცეკვავდა...

სცენის გამოჩენილი კორიფეები და კომპოზიტორები მუდამ იბრძოდნენ თეატრისა და მუსიკის განუყრელი კავშირისათვის.

სტანისლავსკი წერდა: მომავლის თეატრში ერთმანეთს უნდა შეერწყას დრამა და მუსიკაო.

მოცარტი, ვერდი, ბიზე, ჩაიკოვსკი, რომლებიც თეატრში მუსიკას უპირატესობას ანიჭებდნენ, ამავე დროს აღიარებდნენ სცენური მოქმედების უდიდეს მნიშვნელობას საოპერო ჟანრში. რა ახლებურად ჟღერს გენიალური ვერდის სიტყვები:

„ოპერას არა მარტო ისმენენ, მას ხედავენ კიდეც“. ან ჩაიკოვსკის გამოთქმა: „ვიდრე მე ოპერის წერას შევუდგებოდე, საფუძვლიანად უნდა შევისწავლო სცენა“.

დრამის, თეატრალური ხელოვნების, მუსიკის კავშირი ზოგჯერ იმდენად დიდი იყო, რომ ხშირად ამა თუ იმ სპექტაკლისათვის დაწერილი მუსიკა, თავისი მხატვრული ღირსების გამო, დამოუკიდებელ მნიშვნელობასაც იძენდა.

ამის ბრწყინვალე მაგალითია ბეთჰოვენის გენიალური მუსიკა გოეთეს ტრაგედიისათვის „ეგმონტი“.

მუსიკა „ეგმონტისათვის“ შესდგება 10 ეპიზოდისაგან, რომელთა შორის არის ყველასათვის კარგად ცნობილი უვერტიურა.

ამ საოცრად მოკლე, ლაკონიურ შესავალში, რომელიც სულ რაღაც შვიდი წუთი გრძელდება, ბობოქრობს გმირული, მებრძოლი სული. დიდ მოქალაქედ დაბადებული ბეთჰოვენი თავისუფლებისაკენ მოუწოდებს ხალხებს.

სტანისლავსკი ოცნებობდა არა მარტო დრამისა და მუსიკის სინთეზზე, არამედ ისეთ მსახიობებზეც, რომლებიც ერთნაირად იქნებოდნენ დაჯილდოვებულნი, როგორც სცენიური, ისე მუსიკალური ნიჭით. იგი განსაკუთრებით აფასებდა მსახიობში გამოთქმის ანუ ფრაზირების ნიჭს, დე-



კლამაციური გამომსახველობის უნარს. სტანისლავსკის კარგად ესმოდა, რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მსახიობისათვის შინაგან მუსიკალობას, რადგან თვით მისი ცხოვრება ხელოვნებაში დაიწყო ვოკალური პარტიების შესრულებით. მსახიობის იდეალი სტანისლავსკისათვის იყო შალიაპინი, რომლის არსებაშიც მართლაც ასე გენიალურად იყო შერწყმული მომღერლისა და მსახიობის არაჩვეულებრივი ნიჭი.

სტანისლავსკი ერთ-ერთი დრამატული თეატრის სცენაზე დასადგმელად ამზადებდა პუშკინის პატარა დრამას — „მოცარტი და სალიერი“.

ერთხელ, რეპეტიციის დროს, სტანისლავსკიმ ვერასგზით ვერ წაიკითხა სალიერის მონოლოგი, ისე როგორც მას ეს სურდა, თუმცა ფაქიზად გრძნობდა ყოველ წვრილმანს. მაშინ ამ დიდმა რეჟისორმა რეპეტიციაზე მოიწვია შალიაპინი, რომელმაც ბრწყინვალედ, დრამატული სიძლიერით წარმოსთქვა ეს მონოლოგი.

სხვათაშორის, შალიაპინს თურმე ძლიერ სურდა, რომ რიმსკი-კორსაკოვს დაეწერა ოპერა „ოიდიპოს მეფე“, და ერთხელ კომპოზიტორს არაჩვეულებრივი აღმაფრენით წაუკითხა მთელი ტრაგედია.

გასული საუკუნის შუა წლებში, როდესაც თეატრალურმა ხელოვნებამ ასე მჭიდროდ მოიკიდა ფეხი საქართველოში, მუსიკა მისი განუყრელი თანამგზავრი გახდა.

80-იან წლებში ჩვენში ლადო აღნიაშვილის ხელმძღვანელობით, ჩამოყალიბდა პირველი ეთნოგრაფიული სამხმიანი გუნდი. მრავალფეროვანი და მდიდარი ქართული ხალხური მუსიკა აჟღერდა საკონცერტო ესტრადაზე. გუნდის გამოსვლას აღფრთოვანებით მიესალმა დიდი ილია. მან გაზეთ „ივერიაში“ ამ მოვლენას ორი წერილი უძღვნა. ამ წერილებში ილიამ დააყენა მეტად მნიშვნელოვანი საკითხი, — ქართული ხალხური სიმღერების ფართოდ შემოტანა ეროვნულ-დრამატულ სპექტაკლებში. იმ დროს, როცა ქართული ეროვნული ოპერა ჯერ კიდევ არ არსებობდა, ილიას მხურვალედ სურდა ხალხური ჰანგები მაინც მოესმინა ქართულ თეატრში.

ფართოდ შემოვიდა მუსიკა თანამედროვე დრამატულ თეატრში. ქართველ კომპოზიტორთა მუსიკა, თავისი მხატვრული ღირსებით, გასცდა მხოლოდ ერთი რომელიმე სპექტაკლის ფარგლებს.

გაიხსენეთ ოთარ თაქთაქიშვილის ესოდენ დამოუკიდებელი, ნათელი



**ცამეტი** —რიცხვი 13—ათი და სამი (ძველად კვიმატ რიცხვად თვლიდნენ).

**ცამეტი** რთული რიცხვითი სახელია და ამჟამად შემდეგნაირად იშლება: ცა-მეტი. რა არის ეს ცა? რისი ნიშანია?

ამის გარკვევისათვის საჭიროა რიცხვითი სახელების ერთი წყების (კერძოდ, 11-დან 19-მდე) აგებულების გათვალისწინება. პირველ რიგში ყურადღებას იქცევს ამ რიცხვების თავში წარმოდგენილი **თ** ელემენტი: **თერთმეტი — თ-ერთ-მეტი, თორმეტი—თ-ორ-მეტი** და ა. შ.



საქმე ის არის, რომ ეს **თ** რიცხვითი სახელის **ათი-ს** ნაშთია: ძველ ქართულ ენაში იგი სრული სახით იყო წარმოდგენილი: **ათერთმეტი — ათ-ერთ-მეტი** (ე. ი. ათზე ერთით მეტი), **ათორმეტი — ათ-ორ-მეტი** (ე. ი. ათზე ორით მეტი).

„რა ზომისა წლისა ხარ? ხოლო მან ჰრქუა: **ათორმეტისა.** („სიბრძნე ბალავარისა“).

ამ ყაიდაზე აგებული რიცხვითები შეერწყნენ ერთმანეთს, ერთ რთულ სიტყვად იქცნენ. დროთა განმავლობაში თავკიდურ **ა-ს** მოკვეცაც კი გახდა შესაძლებელი: მაგ. **ათოთხმეტმა** მოგვცა **თოთხმეტი, ათექვსმეტმა — თექვსმეტი** და ა. შ.

მაგრამ, გარდა **ა-ს** დაკარგვისა, ზოგიერთმა რიცხვებმა (კერძოდ, 13-მა, 15-მა, 17-მა, 18-მა და 19-მა) სხვა ცვლილებებიც განიცადეს:

1. **თხუთმეტის** გვერდით დღეს დასტურდება **თუთხმეტიც:** „მომეცით **თუთხმეტი** მანეთი“ (ნ. ლორთქ.). აქ მოხდა ბგერათგადასმა: სწორ ფორმაში **თ-ხუთ-მეტი ხ-მ** და **უ-მ** ადგილები იცვალეს, მივიღეთ **თ-უთხ-მეტი.** და ეს მოხდა **თ-ოთხ-მეტის** ანალოგიით, რადგან **თოთხმეტი** და **თუთხმეტი** ბგერობრივად მსგავსად წარმოითქმის.

2. **ჩვიდმეტი.** რიცხვი 17 — ათი და შვიდი. ძველ ქართულში გვქონდა **ათშვიდმეტი:** „დასაბამითგანი წელიწადნი იყვნენ ექუს ათას ოთხას ორმეოცდა **ათჩვიდმეტ**“... („მარტვილობაი კონსტანტი კახისაი“).

**ა** როგორც სხვაგან, აქაც დაიკარგა, მივიღეთ **თშვიდმეტი. თშ** ბგერათკომპლექსმა კი შერწყმის შედეგად **ჩ** მოგვცა: ჩვიდმეტი. აღსანიშნავია, რომ **ჩა** ზმნისწინიც **(ჩა-ვიდა, ჩა-ბერა)** ასევე შერწყმის შედეგადაა მიღებული ძველი ქართული **შთა-საგან: შთა-ვიდა, შთა-ბერა...**

3. **თვრამეტი.** სწორი ფორმაა **თრვამეტი — თ-რვა-მეტი,** მაგრამ არ დასტურდება. აქაც ბგერათგადასმა (მეტათეზისი) იგულისხმება. ასეთი შემთხვევები ქართულში სისტემატურად შეინიშნება: ნარნარა **ნ, რ, ლ** ბგერების შემდეგ მოსალოდნელი **ვ** ბგერა, თანხმოვნების თავმოყრისას, წინ გადმოისმება ხოლმე. მაგ.: ზმნებისაგან **ხნავს, ხრავს, კლავს** უნდა გვქონდეს საწყისები **ხნვა, ხრვა, კლვა,** მაგრამ გვაქვს **ხვნა, ხვრა, კვლა.** მაშინ, როცა თანხმოვანთა ასე-

და სახოვანი მუსიკა სპექტაკლ „ოიდიპოს მეფისათვის“, არჩილ ჩიმაკაძის მუსიკა სპექტაკლ „ფიროსმანისათვის“ და სხვ. ის ფაქტი, რომ ამ სპექტაკლების მუსიკამ დასტოვა თეატრი და საკონცერტო ესტრადაზე გადაინაცვლა, როგორც დამოუკიდებელმა ნაწარმოებმა, მოწმობს იმას, თუ რაოდენ გაიზარდა ამგვარი მუსიკის როლი ჩვენს ხელოვნებასა და ცხოვრებაში.

**მირა ფიჩხაძე**



თი თავმოყრა არ დასტურდება, ვ-თავის ადგილზე რჩება: **ხატავს—ხატვა** (და არა **ხავტა**).

**4. ცხრამეტი.** ათი და ცხრა. აქ მოხდა არა მარტო ა-ს დაკარგვა: **ათცხრამეტი,** არამედ თანხმოვანთა თავმოყრის გამო მას მიჰყვა თ-ც: **ცხრამეტი.** ასე რომ, რთულ რიცხვით სახელში **(ათცხრამეტი)** პირველი წევრის **(ათის)** კვალიც კი არ დარჩა.

ახლა „კვიმატ“ რიცხვს — **ცამეტს** დავუბრუნდეთ. **ჩვიდმეტის** მსგავსად, აქაც ბგერათშერწყმაა ნაგულისხმევი. თავდაპირველი ფორმა იყო **ათსამმეტი — ათ-სამ-მეტი.** ა-ს მოკვეცის შემდეგ უნდა დაგვრჩენოდა **თსამმეტი.** **თს** კომპლექსმა შერწყმით მოგვცა **ც: თსამმეტი—ცამმეტი.** და ბოლოს, ორი მ-საგან ერთ-ერთი დაიკარგა: **ცამმეტი—ცამეტი** (ისევე, როგორც ორი ს ბგერისაგან ერთ-ერთი ამოვარდა სიტყვაში **ცისსარტყელა** და დაგვრჩა **ცისარტყელა**).

განყოფილება მიჰყავს
ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატს
**ᲐᲠᲚᲘ ᲗᲐᲧᲐᲘᲨᲕᲘᲚᲡ.**

# ახალი წიგნები



ქართველ ხალხს არაერთხელ ჰქონია განსაცდელისა და ლხინის დღეები, მრავალჯერ განუცდია გამარჯვების სიხარულიცა და დამარცხების სიმწარეც, მაგრამ არასოდეს არ დაივიწყნია თავისი წარსული, ქვეყნისათვის თავდადებული გმირი წინაპრების სახელი.

წინაპრების გმირული ეპოპეის ერთი ფურცელია დიდგორის ბრძოლა, რომელზეც საინტერესოდ მოგვითხრობს პროფ. შ. მესხია თავის წიგნში „დიდგორის ბრძოლა“.

●

სწავლის შემდეგ კარგია ხალისიანი შრომა ველ-მინდვრად, პიონერთა ბანაკში დასვენება, მშობლიურ მხარეში მოგზაურობა.

პოეტ ვასილ გვეტაძის ახალი ლექსების კრებულში — „თეთრი კარვები“, ნათელი ფერებითაა დახატული ნორჩების საქმიანობა სკოლასა და სკოლის გარეთ.

●

გამოვიდა ვანო ურჯუმელაშვილის ახალი მოთხრობების კრებული „არაბულა“, რომელშიც შესულია ოთხი საბავშვო მოთხრობა — „არაბულა“, „ქოჩორა მთაზე“, „ქორზე მონადირენი“ და „დედისეული საათი“. ამ მოთხრობების გმირები მხიარულნი, უშიშარნი და ძალზე ცნობისმოყვარენი არიან.

●

ეგვიპტეში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილ იქნა პაპირუსის გრაგნილები და ფრაგმენტები პოეტ არქილოქეს ცხოვრებიდან. ამ აღმოჩენამ საშუალება მისცა საბჭოთა ისტორიკოსს ლურიეს აღედგინა არქილოქეს სახე და დაეწერა პოეტის ცხოვრებაზე წიგნი „დაუდგრომელი“.

წიგნში მოთხრობილია ძველი საბერძნეთის კულტურული ცხოვრებისა და ბრძოლების ამსახველი მრავალი საინტერესო ეპიზოდი.








# წუხილი



დავით ასკურავა

მხატვარი

დიმიტრი ზარაფიშვილი

აგერ, ერთი საათია, სამეცადინო მაგიდას უზის და დაწყობილად ერთი აბზაციც ვერ წაუკითხავს...

ორიოდე დღით ადრე რომ ჩამოსულიყო — ყველაფერს გაიგებდა. ,,ეჰ, სულაც არ მახსოვდაო'', — თავს აჯერებს, თუმცა იმასაც ფიქრობს, — ,,მახსოვდა კი არა და...'' ეზოდან მანქანის საყვირის ხმამ ამოაღწია, გელამ ფანჯრიდან გადაიხედა, — მამას მანქანა გამოუყვანია გასარეცხად. მთელი ღამე გზაში იყვნენ. ალბათ წვიმდა, თორემ ასეთ ტალახში სად იარეს, ერთიანად ამოლაფულია მანქანა. მგზავრობისას გელას ეძინა და არაფერი არ გაუგია.

— აბა, ჩქარა მოამზადე გაკვეთილები და სტადიონზე წაგიყვან, დღეს ვარჯიში აქვთ ჩვენებს, — ამოსძახა მამამ.

გელას არაფერი არ უპასუხნია. ორი თვეა ამ ბედნიერ დღეზე ოცნებობს, მაგრამ ახლა...

დღეს დილით ავთოს ეზოსთან გაიარა, ჭიშკარში შესვლაც დააპირა, მაგრამ ვიღაცამ ხელი დაავლო და უკან გამოაბრუნა. არა, ხელი არავის არ დაუვლია, ვერ შევიდა ეზოში და ეგ იყო. ეჰ, ორი დღით ადრე უნდა წამოსულიყო სოფლიდან...

— გელა, რაო, რა თქვეს სკოლაში? — ღია კარიდან გამოსძახა დედამ.

გელა გადაშლილ წიგნს მიუბრუნდა — აქაო და, ვმეცადინეობო.

— რა თქვეს-მეთქი! — დედამ ოთახში შემოიხედა.

— რა უნდა ეთქვათ, სასწავლო წლის დაწყება მოგვილოცეს, — კარგად ისწავლეთო.

გელამ ისტორიის შარშანდელი სახელმძღვანელო გამოძებნა, თავფურცელზე ავთოს ხელით ნაწერ გრძელ, ოდნავ წახრილ ასოებს გაადევნა თვალი. ერთმანეთს გაურბოდნენ თავფურცელზე დაწერილი სიტყვები: „გელა + ავთო = ძმებს", „ავთო + გელა = ძმებს", „ავთო", „აფო", „აფიკო", — თითქოს სიტყვებსაც ეგრძნოთ, რომ აღარ არსებობს ამ ბიჭების ძმობა. და მერე, რა მოულოდნელად და უცბად დაიშალა ყველაფერი! განა დიდ რამეს წარმოადგენდა ერთი ნაპოვნი მტრედი?! — ,,მე მოვუვლიო'', — დაიჩემა ავთომ. გელამ არ დაუთმო. წაიჩხუბნენ. მართალია, გელას უარი არ უთქვამს ერთად მეცადინეობაზე, მაგრამ ავთო აღარ მოსულა მასთან სამეცადინოდ. აღარ მოვიდა და, ორიანიც გამოჰყვა ინგლისურში.

— თქვენ ხომ ერთად მეცადინეობთ? — შეეკითხნენ რაზმის შეკრებაზე ბიჭებს.

— რა თქმა უნდა — ერთად! — წამოიძახა ავთომ.

— დიახ, ასეა! — დაემოწმა გელა და შერცხვა, რომ ასე ცოცხალი ტყუილი თქვა.

●

დღეს სკოლაში არ მოვიდა ავთო. მერე სიაშიც არ ამოიკითხა მასწავლებელმა. მაშინ გელამ გადაწყვიტა, — ვინმესთვის ეკითხა: იქნებ იცით, სად არის ავთო, მაგრამ ვერც ეს გაბედა. ის ,,ვიღაც'' ეწეოდა უკან, თუმცა იმ ,,ვიღაცას'' ვერ ხედავდა და უკვირდა, უხილავს საიდან აქვს ამოდენა ძალაო.

— გელა! — დედის ხმამ გამოარკვია ბიჭი, — ნატო დეიდასა'ს გაიქეცი, უთხარი — თუ სცალია, მოვიდეს.

გელა წავიდა.

გზაზე ავთო რომ შეხვდეს? რომ შეხვდეს კი არა, აუცილებლად შეხვდება. ახლა, ალბათ, ეზოში თამაშობს. იგი ნატო დეიდას ეზოში ცხოვრობს. ჰოდა, რა უნდა უთხრას, რომ შეხვდეს, — პატიება სთხოვოს? მერე, რისი მაქნისია პატიება, ავთოს ხომ დაეკარგა ერთი წელი!

აი, ჭიშკარიც. ეზოში შესვლისას ნაბიჯის უკან გადმოდგმა დააპირა, მაგრამ ეზოში ვიღაც კაცი შემოდიოდა და...

მეორე სართულზე აიჭრა და დააკაკუნა...

წინკარში ვიღაც უცნობი ქალი გამოეგება.

— ავთო სად არის, დეიდა?

— ავთო? — გაკვირვებით იკითხა ქალმა.

— დიახ, ავთო. ავთო კაპანელი აქ არ ცხოვრობს?

— ჰო, კაპანელები? ისინი ამ ზაფხულს გადავიდნენ, შვილო.

გელამ რაღაც წაილუღლუღა, კიბეზე დაეშვა და ქუჩაში გამოიჭრა.

არაფრის ფიქრის თავი არ ჰქონდა.

მამა ისევ მანქანას რეცხავდა ონკანთან. გელა გაოგნებული მიაჩერდა. მზერას ხან მანქანაზე გადაიტანდა, ხან მკლავებდაკაპიწებულ მამაზე.

— წადი, საწვიმარი ჩამოიტანე, წავიდეთ! — უთხრა მამამ.

გელა ათრეული ნაბიჯებით გაემართა სახლისაკენ. სადარბაზო შესასვლელთან ერთბაშად შედგა. შესასვლელში ავთო იდგა. არა, თვალები არ ცდებოდნენ: არც მეტი, არც ნაკლები, ნამდვილი ავთო კაპანელი იყო, თავისი განუშორებელი კეტებით, ვიწროტოტლებიანი შარვლით. ზემოდან რაღაც ჭრელი ხალათი ეცვა.

— აი, ესენი მოგიყვანე, — თქვა ავთომ და თავი ასწია, — ჩვენი ზიარი მტრედის...

გელამ ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა.

— წავიდეთ, სახლში ავიდეთ, ავთო, — თქვა კარგა ხნის დუმილის შემდეგ და მეგობარს წინ გაუძღვა. უნდოდა, ჩვეულებრივ გადაეხვია ხელი, მაგრამ ვერ მოახერხა, უმწეოდ ჩამოუვარდა ზეაღმართული მკლავი.

— ახალი ბინა მივიღეთ, — თქვა ავთომ, — სკოლაც ახალი გვაქვს.

ბიჭები ოთახში შევიდნენ.

— ჰო, მაგრამ... შენ, შენ რომელ კლასში ხარ, ავთო? — ხმამაღლა უნდოდა გელას ამის თქმა, მაგრამ ხმა გულში ჩაეკარგა.

— ჰო, მართლა, — ოთხიანი მივიღე საშემოდგომოში... დავიტანჯე მთელი ზაფხული. შენთან რომ მემეცადინა...

გელამ მტრედის ხუნდებს ხელი გაუშვა, ამხანაგს მოეხვია. ინანა, რომ ასე არ მოიქცა იქ — სადარბაზოს კარებთან.

კარგა ხანს იდგნენ ბიჭები ხელიხელგადახვეულნი.

— ხედავ! — შესძახა ავთომ და ფანჯარას მივარდა, — რა კარგად დაფრინავენ!..

ახალდაფრთიანებული ორი მტრედი ლაღად დასრიალებდა ცაში.

— აწი არაფერი უჭირთ, — თქვა ავთომ და მეგობარს შეხედა. გელას უნებლიე ცრემლი უბრწყინავდა თვალებში.





**ბ. ბელინსკი:** ადამიანი მუდამ იყო და იქნება ადამიანისათვის ყველაზე საინტერესო მოვლენა.

**ვ. გოეთე:** მიუხედავად ყველა მათი ნაკლოვანებისა, ადამიანები ამ ქვეყნად მაინც უღირსეულესი არსებანი არიან.

**მ. გორკი:** ადამიანი — სამყაროს ყველაზე დიდი სასწაული და დედამიწაზე ყველა სასწაულის შემოქმედია.

**მ. გურიელი:** გახსოვდეს, რომ ხარ ადამიანი.

**ა. კუნანბაევი:** მე რომ ძალაუფლება მქონდეს, ენას მოვაჭრიდი ყველას, ვინც იტყოდა: ადამიანი გამოუსწორებელიაო.

**ჟ. ლაფონტენი:** ჩვენ, ადამიანები, ვგავართ ცხოველმყოფელ წვიმას. თითოეული ჩვენგანი თითქოს ერთ წვეთს წარმოადგენს, რომელიც, თუმცა მეტად პატარაა, მაგრამ მაინც ხელს უწყობს მინდვრის გაპოხიერებას.

**პროტაგორა:** ადამიანი — ყოველივე არსებულის საზომია.

**ვ. ჟუკოვსკი:** როდესაც გამახსენდება, რომ ადამიანი ვარ, სულით ავმაღლდები ხოლმე.

**სოფოკლე:** ბევრი რამ არის ქვეყნად ძლიერი, მაგრამ ადამიანზე უძლიერესი არაფერია.

**ა. ჩეხოვი:** ადამიანს ყველაფერი ლამაზი უნდა ჰქონდეს: სახეც და ტანისამოსიც, სულიც და აზრებიც...

**ჩინური ანდაზა:** ადამიანები, და არა კედლები ქმნიან ქალაქებს.

**ძველი ებრაული თქმა:** ადამიანებისადმი ღირსეული მოპყრობა ყოველგვარ ცოდნაზე მაღლა დგას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 36 და 5



**ს. მიხალკოვი**

არ მატულობს, სულ ამაოდ ვუცდი:
ისევ 36 და 5!
სიცხის საზომს დავაკვირდი მწყრალად,
ო, ეს სიცხე ნეტავ სად გამქრალა?
რად არ ვიწვი? რატომ არ ვარ ავად?
მე ოთახში არხეინად დავალ!
არ მატულობს, სულ ამაოდ ვუცდი:
ისევ 36 და 5!
ჩემებრ სალი გული თუ აქვს ვინმეს!
სურდო არ მჭირს, არც ცხვირს მაცემინებს,
არც მახველებს!.. მაქვს ღონე და ჯანი,
ვარ ნამდვილი სპორტსმენ-ფალავანი;
ხვალ სკოლაში უნდა ვიყო დილით,
მერხზე უნდა ვიჯდე მოწყენილი,
კითხვა, წერა, ხატვა, სიმღერაც კი...
რა თქმა უნდა, არ ამცდება მარცხი!
მეგობრები დამაყრიან სიცილს —
რას მოვყვები, აბა, რაც არ ვიცი!

არ მატულობს, სულ ამაოდ ვუცდი:
ისევ 36 და 5!
და თერმომეტრს უცებ ხელი ვტაცე,
ვათბე... ვათბე... თან შევთხოვე ასე:
— მოდი ერთი, ეს პატივი დამდე—
აიწიე 37-მდე!
აჰა, 37 და 6,
სიცხისაგან გულის ცემა მესმის,
ლოყა მეწვის, თავბრუც დამეხვია...
— ავადა ხარ, ჩემო ბიჭო?
— დიახ!..
მე ლოგინში ვკოტრიალობ ახლაც.
ნება არ მაქვს ავდგე თუნდაც წუთით,
ნამდვილად კი... ჩემი სიცხე გახლავთ
ისევ 36 და 5.



# ხოჭო ლამაზი და ხოჭო ავი

**ა. ბარტო**



ხუთმა ბიჭმა შეკრებაზე
მოკლედ მოსჭრა სიტყვა გრძელი:
—ას თოთხმეტი ხოჭო მოვსპეთ,
ას თოთხმეტი მავნებელი!

ნატო ბიჭებს ეუბნება:
—მე არ ვერჩი, არ ვკლავ იმას!
ლამაზია, ხოჭო მხეზე—
ვით ზურმუხტი, ისე ბრწყინავს.
არა, ხოჭოს მოსაკლავად
წუთითაც კი არსად წავალ,
მომწონს მისი მორთულობა,
მხიბლავს მისი მწვანე ფერი!
—რად არ გჯერა,—უთხრეს ნატოს,—
ხოჭო არის მავნე მწერი!
ერთმა ბიჭმა ეს შეჰბედა:
—ვის ეძახი ლამაზს, ნეტავ?—
ვინც აყენებს ტყეებს ზიანს,
როგორ ფიქრობ, ლამაზია?
—მომისმინეთ, — თქვა თევდორემ,—
იცით, ძმებო, რა მგონია:
უსარგებლო სილამაზეს
ჯანდაბამდის გზა ჰქონია!
ითათბირეს ყმაწვილებმა
და დაასკვნეს ბოლოს ასე:
— შესაძლოა აკვნიდანვე
სულ თან გახლდეს სილამაზე,
მაგრამ თუ კი ბოროტს თესავ
და სიკეთეს ფეხით სთელავ,
რა თქმა უნდა, ჩაითვლები
მახინჯად და საფრთხობელად.

თარგმნა **არნო ონელმა.**

# ბუნების გადაუჭრელი საკითხები



თქვენ, ალბათ, არაერთხელ შეგიმჩნევიათ ფრინველთა გუნდები, რომლებსაც სამხრეთის ქვეყნებისკენ აუღიათ გეზი. წეროები, მაგალითად, სამხრეთ აფრიკაში მიფრინავენ. ისინი დღე-ღამეში 400 კილომეტრს ფარავენ, დანიშნულ ადგილამდე კი — 10 ათასს.

ალბათ, არა ერთი ადამიანი ჩაფიქრებულა იმაზე, თუ როგორ აგნებენ წეროები, და საერთოდ, ფრინველები, უშეცდომოდ თავიანთ ძველ სამყოფელს. ათასობით კილომეტრზე ფრენის დროს ხომ მოსალოდნელია გზაკვალის აბნევა და სწორი მიმართულების დაკარგვა?

ბუნების ამ საიდუმლოების ამოსახსნელად მსოფლიოს ბევრი მეცნიერი მუშაობს; ზოგი მათგანი ამტკიცებს, რომ ფრინველთა ამ საიდუმლოების ამოხსნა საშუალებას მოგვცემს წარმატებით გადავწყვიტოთ კოსმოსური ხომალდების თვითმართვის საკითხი.

ფრინველების გადაფრენის საკითხი თავიდანვე აინტერესებდა ადამიანს. დიდი ხნის მანძილზე ეგონათ, რომ უცხო ქვეყნებში ფრინველები მხოლოდ კარგი კლიმატური პირობების საძებრად მიფრინავენ. მაგრამ ეს რომ ასე იყოს, მაშინ ფრინველები სამხრეთ აფრიკამდე კი არ იფრენდნენ, არამედ გზაზე, ჩრდილო აფრიკაში შეჩერდებოდნენ, სადაც დაახლოებით ისეთივე კლიმატია, როგორიც სამხრეთ აფრიკაში.

ამ საკითხის გადაჭრაში მეცნიერები არასდროს არ ყოფილან ერთსულოვანნი. ერთნი ამტკიცებენ, რომ ეს წინაპართა თვისებების გამოვლენაა, მეორენი ამბობენ, რაღაც განსაკუთრებული ვიტამინიანი საკვები იზიდავთ იქითო. ბოლო ხანებში ძალზე მოიკიდა ფეხი ერთმა თეორიამ, რომლის მომხრეები ამტკიცებენ, თითქოს ფრინველებს ძალზე სჭირდებათ ინფრაწითელი სხივები, რაც დედამიწის ევროპულ ნაწილში ზამთრობით ძალზე ცოტაა.

ფრინველების გადაფრენას მრავალი სხვა ახსნაც აქვს. მაგრამ არის მეორე, კიდევ უფრო საინტერესო საკითხი — როგორ იგნებენ ფრინველები გზას. ცნობილია შემთხვევა, როცა ფრინველები დატყვევებული გადაჰყავდათ შორს, მაგრამ განთავისუფლებისთანავე, თითქოს რაღაც მაგიური ძალა ეწეოდათ სამშობლოსაკენ — უმალ უკან ბრუნდებოდნენ.

ამერიკელმა სპეციალისტებმა ფრინველებს ფრთებქვეშ პატარა რადიოგადამცემები ჩაუდგეს, აკვირდებოდნენ ფრენის მიმართულებას და ასე შეადგინეს ფრინველთა გადაფრენის თავისებური რუკა. გამოირკვა, რომ პატარა ჩიტი წინტალა, რომელიც აღმოსავლეთ ციმბირში, ბერინგის სრუტესთან ბინადრობს, გადაიფრენს მთელ წყნარ ოკეანეს და პოლინეზიის კუნძულებამდე მიდის, ე. ი. ფარავს 3000 კილომეტრს. მეორე, მისი მსგავსი ჩიტი, სწორად აგნებს გზას ჰავაის კუნძულებამდე, ცოტაოდენი შესვენების შემდეგ გზას განაგრძობს და, ეკვატორის გადავლით, მარკიზის კუნძულებამდე აღწევს.

იაპონური ჩიბუხა ზამთარს კიდევ უფრო შორეულ კუნძულ ტასმანიაზე ატარებს. გადაფრენის რეკორდი დამყარებული აქვს ზღვის ფარფლებიან მერცხალს, იგი ბარტყებს შორეულ ჩრდილოეთში ჩეკავს, ზამთარს კი ანტარქტიდაში ატარებს. ასევე შორს ფრენით გამოირჩევა ქარიშხალა, რომელიც მუდმივად ანტარქტიდაშია „ჩაწერილი“, მაგრამ მერცხლის საპირისპირო გზით, ჩრდილოეთისაკენ მიდის ხოლმე.

რადიოლოკაცია საშუალებას იძლევა, ფრინველებს ღამითაც ადევნონ თვალყური. ისინი ღამ-ღამობით ძალზე მაღლა, ღრუბლებს ზემოთ, ფრენენ. ამან დაბადა კიდევ ერთი მოსაზრება: შესაძლოა ფრინველები ვარსკვლავების საშუალებით იკვლევენ გზას. ამასწინათ, ორნიტოლოგებმა შეამჩნიეს, რომ იმ ადგილებში, სადაც მძლავრი სალოკაციო აპარატურა არის დადგმული, ფრინველთა „სანავიგაციო მოწყობილობა“ შეფერხებით მუშაობს, და ბევრმა ფრინველმა ვეღარ მიაგნო თავის ძველ სამყოფელს.

ასევე იმოქმედა ფრინველებზე მძლავრი რადიოსადგურების ულტრამოკლე ტალღებმა. შესაძლოა, ელექტრომაგნიტური ტალღები უკარგავდნენ ფრინველებს ორიენტირების ინსტიქტს. აქედან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ფრინველებს ეს ორგანოები რადიოლოკაციური სადგურების პრინციპზე აქვთ მოწყობილი.

ამ მოსაზრების სასარგებლოდ ისიც ლაპარაკობს, რომ, როცა მზეზე აფეთქებები ხდება, რაც რადიოტალღების დიდ გამოსხივებას იწვევს, ფრინველებს ორიენტაცია ეკარგებათ. სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით ფრინველთა გადაფრენის ბევრი საკითხი აუხსნელი რჩება. მაგრამ ადამიანი უეჭველად ამოხსნის ფრინველთა ამ საოცარ საიდუმლოებას.

პოლონური ჟურნალი „გორიზონტი ტეხნიკი“.

# ვიოლინო



მხატვარი

**დიმიტრი ზარაფიშვილი**

პროფესორი კოლბი ბერლინში ჩვენს მახლობლად ცხოვრობდა; კვირაში ორ-ჯერ უნდა ამევლო მისი სახლის კიბე. დავაჭერდი თუ არა ზარის ღილაკს თითს, ჩემი მასწავლებლის ფეხის ხმას გავიგონებდი, ვიოლინოს მღელვარებისაგან უფრო მაგრად მოვუჭერდი ხელს და გული სიხარულისაგან ამიძგერდებოდა. ბევრი რამ შევისწავლე პროფესორ კოლბისგან. რამდენიმე გაკვეთილის შემდეგ ერთადაც კი ვუკრავდით.

1940 წლის იანვრის სუსხიანი დილა გათენდა; მე გაკვეთილზე ვიყავი პროფესორ კოლბთან. არ დამავიწყდება, როგორ ყრუდ ჟღერდნენ მაშინ მისი შესანიშნავი ვიოლინოს სიმები. შუა დაკვრაში ვიყავით, როდესაც ზარმა დაიწკრიალა. პროფესორი გაფითრდა, უცებ გამომტაცა ჩემი ვიოლინო ხელიდან და თავისი მომაჩეჩა. ვიდრე რაიმეს კითხვას მოვასწრებდი, ოთახი ნაცისტებით გაივსო. იმ წუთში გამახსენდა დედაჩემის ნათქვამი: — ნაცისტები ყველას იჭერენ, ვინც ფაშიზმის წინააღმდეგ იბრძვისო.

ნაცისტებმა ჩემი პროფესორი წაიყვანეს ისევე, როგორც ზედ ეცვა — საშინაო კოსტუმით და ნაბდის ჩუსტებით. ერთმა მათგანმა ბინაც კი გაჩხრიკა. მე ჩავიხუტე გულში ჩემი პროფესორის ვიოლინო და მოვკურცხლე შინისაკენ...

გულამოვარდნილმა მივირბინე სახლთან. ჭიშკართან დედა მიცდიდა ერთ სტუდენტთან ერთად. მე იმ სტუდენტს ხშირად შევხვედრივარ პროფესორ კოლბთან. სტუდენტმა შინ შემიყვანა და მკითხა:

— ეს შენი ვიოლინოა?

—არა, — წავიჩურჩულე მე. მაშინ მან საკრავი გახსნა და იქიდან წერილი ამოიღო, შემდეგ კი გაუჩინარდა...

ამ შემთხვევის შემდეგ ხშირად დავდიოდი პროფესორ კოლბის ბინაზე. მაგრამ კარს არავინ მიღებდა...

მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ შევიტყე, რომ მე პროფესორის ვიოლინოთი გადავარჩინე კომუნისტური ორგანიზაციის მეტად მნიშვნელოვანი სამოქმედო გეგმა. ამ გეგმის დახმარებით ორგანიზაციამ შეძლო წარმატებით ებრძოლა ფაშიზმის წინააღმდეგ.

პროფესორის ვიოლინო დღესაც მაქვს. იგი მე ძალიან მიყვარს; როდესაც ამ ვიოლინოზე ვუკრავ, ყველა განაბული მისმენს.

# პატეხილი სკამი

პეტერი ძალზე აღელვებული ჩანდა ან კი როგორ არ უნდა აღელვებულიყო, როდესაც მისი და, პატარა მარტა, მეზობლის ქალმა ყველას გასაგონად შეაქო — კარგი სუფრა მოგიქარგავსო.

პეტერმა მოსვენება დაჰკარგა. მასაც სურდა ისეთი რამეს გაკეთება, რითაც ყველას ქებას დაიმსახურებდა. განსაკუთრებით კი — მამის გულის მოგება სწადდა.

და აი, ბედნიერი შემთხვევა! დედას სკამი გაუტყდა და პეტერს თხოვა — სახელოსნოში წაიღეო. პეტერს თვალები გაუბრწყინდა, შესანიშნავმა აზრმა გაუელვა თავში.

,,სკამს მე თვითონ შევაკეთებ, როგორც კი სახლში მარტო დავრჩები. შევაკეთებ კი არა, სულ გადავაკეთებ და გავაახლებ. რატომ არ შეიძლება, სკამს ოთხკუთხედი საჯდომის ნაცვლად, მრგვალი გავუკეთო? ვიცი, მამაც შემაქებს და ნამდვილ ოსტატად მაღიარებს'', — ფიქრობდა პეტერი და თავისი მიხვედრილობით თვითონვე იყო კმაყოფილი.

მაგრამ სად უნდა ეშოვენა მრგვალი საჯდომის გასაკეთებლად საჭირო მასალა? პეტერმა ოთახში მიმოიხედა. უცებ, მისი მზერა როიალის წინ დადგმულ პატარა მრგვალ სკამზე შეჩერდა. ნახევარი საათიც არ იყო გასული, რომ როიალის სკამს ზევითა მრგვალი ნაწილი მოსცილდა და მეორე სკამზე მიეჭედა, სამაგიეროდ როიალის სკამზეც გაჩნდა ოთხკუთხედი საჯდომი. ახლა კი საჭირო იყო გატეხილი ფეხის გამოცვლა. საჩქაროდ მონახა მამის ხელჯოხი, რომელიც საკმაოდ მაგარი იყო და, რაც მთავარია, ფეხად გამოდგებოდა. მაგრამ, როდესაც პეტერმა ჯოხი გადახერხა, აღმოჩნდა, რომ იგი სკამის ფეხად არ გამოდგებოდა, რადგან მასში ლურსმნის ჩაჭედება შეუძლებელი იყო.

პეტერმა მიიხედ-მოიხედა და იატაკის ჯაგრისის ჯოხს დაავლო ხელი.

ამდენი წვალების შემდეგ, როგორც იქნა, სკამი მზად იყო. პეტერმა კიდევ ერთხელ შეათვალიერა სკამი და მხოლოდ ახლა შენიშნა, რომ სკამის ახალი ფეხი თეთრი იყო.

,,სკამი უნდა შევღებო'', — გადაწყვიტა პეტერმა და მამის მაგიდაზე ყვითელი საღებავის ძებნას შეუდგა. მაგრამ, შეღებვის შემდეგ, არც ეს ფერი მოუვიდა პეტერს თვალში და სკამი მუქყავისფრად გადაღება.

ბოლოს, ყველაფერი რიგზე იყო. პეტერმა სკამი შუა ოთახში დადგა და სასეირნოდ წავიდა. ორი საათის შემდეგ დაბრუნდა; სახლში ამჯერადაც არავინ იყო. მაგიდაზე წერილი დახვდა. პეტერმა მამის ხელი შეიცნო და მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მაგრამ დახეთ, რა ეწერა შიგ:

— მე და დედა ავეჯის მაღაზიაში წავედით. ჩვენს დაბრუნებამდე დადგი ჩაიდანი და ამოხსენი შემდეგი ამოცანა:

ერთი სკამის შესაკეთებლად ხელოსანს დასჭირდა შემდეგი მასალა:

ერთი ხელჯოხი — 4 მანეთად ღირებული;

როიალის სკამი — 11 მანეთად ღირებული;

იატაკის საგველი ჯაგრისის ჯოხი — 1 მანეთად ღირებული;

საღებავი — 2 მანეთად ღირებული.

რამდენი ახალი სკამის ყიდვა შეიძლება ამ თანხით, თუ ერთი ახალი სკამი ღირს 4 მანეთი?

გერმანულ საბავშვო ჟურნალ ,,აბც ცაიტუნგიდან'' თარგმნა მანანა მანჯგალაძემ.





ახეთი ლამაზი და ხალხმრავალი დღესასწაული „ქარიშხალას“ სტადიონზე დიდი ხანია არ უნახავთ თბილისელებს. 30 მაისს აქ ჩატარდა ყვავილებისა და სიმღერის დღესასწაული. ამ ზეიმში ბევრმა თბილისელმა ბავშვმა მიიღო მონაწილეობა.

ზეიმის ერთი ეპიზოდი ასე დაიწყო: სტადიონზე ავტომანქანა „ვოლგა“ შემოგრიალდა. გაიღო კარი და, ჰოი, საოცრებავ! მანქანიდან ფეხბურთელთა ორი გუნდი გადმოვიდა: „გვირილა“ და „უაუაჩო“.

გუნდები მოედანზე გავიდნენ და ხალისიანად ჩაებნენ ასპარეზობაში. სიხარულისა და მხიარულების ხაბაბი მართლაც იყო — მეკარეებად იდგნენ სახელოვანი ფეხბურთელები: სერგო კოტრიკაძე და რამაზ ურუშაძე. მატჩს სჯიდა ფეხბურთის ვეტერანი ბორის პაიჭაძე.

ფოტო 3. გენგიურისა.




ჯერ კიდევ ჩვენმა შორეულმა წინაპრებმა იცოდნენ, რომ ქარვა ან მინა — ქსოვილის ნაჭერზე გახახუნების შემდეგ—უცებ მიიტაცებს ხოლმე სხვადასხვა პაწია ნამცეცებს, ბუსუსებს, თმის ღერებს...

მოდით, ჩავატაროთ რამდენიმე ცდა-ელექტროსტატიკაში. ქარვის მაგიერ ავიღოთ პლასტმასის სავარცხელი, გავახახუნოთ შალის ნაჭერზე, — სავარცხელი დაილექტროვდება და მივუახლოვებთ თუ არა ქაღალდის ნაკუწებს — მყისვე აკრეფს მათ.

●

ამ ცდის ჩატარება ასეც შეიძლება:

სავარცხელს შუაზე გამოაბით ძაფი და დაჰკიდეთ. მეორე სავარცხელი დაალექტროვეთ შალის ნაჭერზე ხახუნით და მისი ბოლო მიუახლოვეთ დაკიდებული სავარცხლის ბოლოს, — იგი მაშინვე ამოძრავდება.

●

ორი დაელექტროებული სავარცხელი ერთმანეთს კი არ მიიზიდავს, პირიქით — განიზიდავს. ე. ი. ისინი ერთნაირი დენით არიან დამუხტულნი.

●

ახლა უკვე შეგიძლიათ ელექტროსტატური სათამაშოც კი გააკეთოთ: ერთმანეთში ჩააჯ დ ე თ ორი სავარცხელი და ჩამოკიდეთ ძაფით. მიუახლოვებთ თუ არა დაელექტროებულ სავარცხელს— ისინი ტრიალს დაიწყებენ!

●

მაგიდის ნათურიდან ორ მეტრზე (ნათურის გასწვრივ) დადეთ სქელი ქაღალდის თეთრი ფურცელი. ნათურასა და ფურცელს შორის მოათავსეთ მეჩხერკბილიანი სავარცხელი ისე, რომ შუქმა სავარცხლის კბილებში გაიაროს,—ქაღალდზე გაჩნდება მოგრძო, პარალელური ჩრდილები. თუ ქაღალდზე დადგამთ პატარა, ოთხკუთხა სარკეს — შუქი აირეკლება და ქაღალდზე გაჩნდება ზოლები; საითაც არ უნდა მიაბრუნოთ სარკე— სარკეზე დაცემულ სხივებსა და სარკეზევე დაშვებულ პერპენდიკულარს შორის არსებული კუთხე ტოლი იქნება ამ პერპენდიკულარსა და ანარეკლ სხივებს შორის არსებული კუთხისა.

ეს არის გეომეტრიული ოპტიკის ერთ-ერთი კანონი: დაცემის კუთხე არეკვლის კუთხის ტოლია.









●

ქაღალდი მრგვალად ამოჭერით, იმ ზომაზე, რომ მასში მჭიდროდ ჩადგათ თხელი ჩაის ჭიქა. ჩაასხით ჭიქაში წყალი. ჭიქასა და მაგიდის ნათურას შორის, რომელიც ჭიქიდან დაშორებულია 1,5 — 2 მეტრზე, დააყენეთ სავარცხელი. პარალელური სხივები, გაივლიან რა ჭიქას, რომელიც ამ შემთხვევაში ცილინდრული ლინზის როლს ასრულებს, თავს მოიყრიან ერთ ფოკუსში, შემდეგ კი მარაოსებრ გაიშლებიან. მართალია, ჭიქის ფორმა მთლიანად ცილინდრული არ არის, მაგრამ ამ ცდის ჩატარების დროს მაინც შეგვექმნება წარმოდგენა ცილინდრულ ლინზაში სხივთა გატარებაზე.

●

ხმის სიმძლავრე დამოკიდებულია ხმის გამომცემი სხეულის რხევის სიხშირეზე.

თუ სქელი ქაღალდის კიდეზე გავუსვ-გამოვუსვამთ ჯერ მეჩხერკბილიან, ხოლო შემდეგ უფრო მჭიდროკბილიან სავარცხელს—ხმის სიმძლავრეც სხვადასხვანაირი იქნება; წმინდა მუსიკალურ ტონს, რა თქმა უნდა, ვერ მივიღებთ, მაგრამ განსხვავებას ჟღერადობაში კარგად მივხვდებით.

●

არსებობს ერთი მეტად საინტერესო მოვლენა, ე. წ. „მესერის ეფექტი". ორი პარალელური მესერის გვერდით ჩავლისას თქვენ შეამჩნევთ მოლივლივე მუქ ზოლებს. ეს მუარისებრი ნაყში ძალიან ჰგავს ხმის ტალღათა მოძრაობის აღმნიშვნელ ნახაზს.

## კაკლის ძმა

კაკლის ძმა, უფრო სწორად —კაკლის უმცროსი ძმა—ასე უწოდებენ თხილს. ამ ნაყოფს კაკლისაგან განსხვავებული ბევრი სასარგებლო თვისება აქვს.

თხილის გული ნოყიერებით ერთნახევარჯერ აღემატება მსუქან ღორის ხორცს, სამჯერ — პურს, ოთხჯერ ჭვავს, ორჯერ—რძეს, სამჯერ — ვაშლს...

თხილის ნაყოფი მდიდარია ცხიმებით, ცილებით, ნახშირწყლებით, ვიტამინებით... მასში მოიპოვება ადამიანის ორგანიზმის მასაზრდოებელი თითქმის ყველა ვიტამინი.

50 გრამ თხილს შეუძლია დააკმაყოფილოს მცენარეულ ცხიმებზე ადამიანის სადღეღამისო მოთხოვნილება. ამასთან თხილის გული იოლი მოსანელებელია და ორგანიზმი მთლიანად ითვისებს თხილის საუკეთესო ნივთიერებებს.

„ხილთა ქებაში" სწერია:
თხილმა თქვა:

გკადრო მართალი,
ჩემი პასუხი გულისა,
ყველანი უბნობთ, იკვეხნით,
მე იმან გამაგულისა,
სალხინოდ შესაქცევი ვარ,
მარგი ყოვლისა სჯულისა.

ეს სიტყვები გადაჭარბებული ქება როდია. ჩვენს ბაღებში თხილის შესანიშნავი ჯიშები ხარობს. ტყეებში ბევრი თხილი იზრდება, განსაკუთრებით ბევრია იგი კავკასიონის ფერდობებზე.

## კაკლის ხე, რომლის ქვეშ თამარ მეფე ისვენებდა

მრავალი ხანდაზმული ხე ჩვენი თვალითაც გვინახავს. ბევრი ხანდაზმული, საუკუნოვანი ხე ახლაც ხარობს საქართველოში.

სოფელ მარტყოფში ხარობს ათასწლოვანი კაკლის ხე, რომელსაც საინტერესო ისტორია აქვს. ამბობენ, — მის ჩრდილში თამარ მეფე ისვენებდაო.



ამ ხეს ენა რომ ჰქონდეს, ალბათ კარგად აგვიწერდა მარტყოფის ბრძოლის საშინელ ამბავს; იმ დროს ამ ხის ქვეშ დიდი მოურავის — გიორგი სააკაძის საბრძოლო შტაბი ყოფილა განლაგებული...

ბავშვებო! ერთი მორიგი ექსკურსია მოაწყვეთ სოფელ მარტყოფში — იქ, სხვა ძეგლებთან ერთად, ნახავთ ამ დიდებულ, ისტორიულ კაკლის ხესაც.

ანა ნემსაძე.



1939 წელს ნიუ-იორკის საერთაშორისო გამოფენის ტერიტორიაზე მიწაში ჩაფლეს „ეპოქის ქურვი".

ეს ჭურვი-ამანათი შენახულია მათთვის, ვინც ხუთი ათასი წლის შემდეგ იცხოვრებს. მისი მიზანია, მომავლის ადამიანს გააცნოს დღევანდელი მეცნიერება, ტექნიკა და ცივილიზაცია. „ჭურვში" მოთავსებულია ყველაზე მთავარი ქიმიური ელემენტებისა და მინერალების ნიმუშები, ლაქით დაფარულ ვიწრო კინოფირზე ჩაწერილია მთელი ბიბლიოთეკა — ასი მილიონი სიტყვა. აქაა ენციკლოპედიები, ათასგვარი სამეცნიერო წიგნები, ლექსიკონები, მხატვრული ლიტერატურა.

„ჭურვში" შენახულია ბევრი საყოფაცხოვრებო ნივთი: საათი, თუთუნი, პომადა, პუდრი, 1939 წლის მოდელის ქალის შლიაპა, სათვალე, კბილის პასტა, ფოტოაპარატი, ავტოკალამი, ნათურა, რადიომიმღები, ტელევიზორი და ბევრი სხვა რამ.

„ჭურვი" 6939 წელს უნდა გ[illegible]ნან.

* * *

სამდინარო ფლოტის სა[illegible]ლევო-სამეცნიერო ინსტიტუტმა შექმნა ხელსაწყო, რომელმაც გემზე მესაჭე შეცვალა. ერთ-ერთმა დიზელ-ელექტრომავალმა, რომელიც ამ ხელსაწყოთი იყო აღჭურვილი, ვოლგაზე ისე გაიარა მთელი ტრასა, — ვერც ერთმა მგზავრმა ვერ შეამჩნია, რომ გემს ადამიანი კი არა, მანქანა უწევდა მესაჭეობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პირველი ნადირობა

**ნოდარ შამანაძე**

მე მეგონა საადვილო,—
ბიძას გავყევ სანადიროდ;
გავეშურეთ უთენია,
წინ ის იყო, უკან—მე,
მაღალ კლდეებს ვუგანეთ!
სადაც ირემს ურბენია,—
სადაც არწივს უფრენია,—
იმ მთებს გადავუარეთ...
უფსკრულები—ტიალი,
ბნელ წყვდიადის საფარი,
ხევში წყალთა ჩქრიალი,
ჩანჩქერების ჩქაფანი...
ნაპრალებზე გადადის
ბილიკების ქამანდი,
მარჯვედ რომ არ გამევლო,
ვეღარასდროს გნახავდით...
— სანადიროდ რა მინდოდა,—
ერთ ხანს ასე ვფიქრობდი...
თუმც იმედს არ ვიქრობდი...
მძიმედ მივაბიჯებდი,
მკერდში გულს ვერ ვიჭერდი,
ძალა აღარ მყოფნიდა...
სადღაც მგელი ყმუოდა...
მთაში წასვლა თოფითა
არ ყოფილა ხუმრობა,
მაგრამ... კარგი ყოფილა!

## იუმორი

— დედიკო, მე დღეს უფრო მეტი ვიცოდი, ვიდრე ჩემმა ამხანაგმა გეორგმა, — ახარა დედას სკოლიდან დაბრუნებულმა ფრანცმა.

— რა გკითხა მასწავლებელმა? — გაუღიმა კმაყოფილებით დედამ.

— კვირაში რამდენი დღეაო? მე ხუთი ჩამოვთვალე, გეორგმა კი — მხოლოდ ორი.

●

მასწავლებელი: დღე-ღამეში რამდენი საათია?

მოსწავლე: ოცდახუთი, ბატონო მასწავლებელო.

მასწავლებელი: როგორ?

მოსწავლე: თქვენ ხომ გუშინ გვითხარით, დღემ უკვე ერთი საათი მოიმატაო.

●

— შენ ყოველთვის გიყვარს ამბის გაზვიადება, — უთხრა კურტს ამხანაგმა.

— როგორ გეკადრება, გეთაყვა, — მიუგო მან, — გაზვიადება კი არა, სიმართლის ნახევარსაც არ ვამბობ ხოლმე.

●

ერთხელ როსინმა ახალგაზრდა მუსიკოსის პარტიტურა გასინჯა და თქვა:

— ნამდვილი საოცრებაა: ასეთი ახალგაზრდა მუსიკოსი და... ასე ძველი მელოდიები?!

●

— შვიდს მივუმატოთ სამი უდრის ათს, — თქვა მასწავლებელმა.

პაულმა ხელი აიწია:

— ეს შეუძლებელია, ბატონო მასწავლებელო.

— ვითომ, რატომ?

— გუშინ ხომ გვითხარით, ორჯერ ხუთი არის ათიო, — გაახსენა პაულმა.

●

სამსახურიდან დაბრუნებულმა მამამ დაინახა, რომ ოტოს თითი ჰქონდა შეხვეული.

— ეგ რა არის, გაიჭერი? — ჰკითხა ვაჟიშვილს.

— არა, მამიკო, ფუტკარი დავიჭირე და ერთი ბოლო იზოლირებული არ აღმოაჩნდა.

გერმანულიდან თარგმნა

ზ. ამირანაშვილმა.




### მეტისმეტი თავაზიანობა

ამას წინათ ნიუ-იორკში დაარსდა „თავაზიან ადამიანთა კლუბი“. მათი თავაზიანობა მართლაც სწორუპოვარია. კლუბის წესდებაში არის ასეთი მოთხოვნილებაც: „არავისთვის საკვირველებას არ უნდა წარმოადგენდეს ის, რომ ჩვენი კლუბის წევრები მაშინაც კი იხდიან შლიაპას, როცა მანდილოსანს ტელეფონით ესაუბრებიან“.

### ბიბლიოთეკა ხელისგულზე

ბუდაპეშტის უნივერსიტეტის სტამბის ხელმძღვანელი იულიუშ იანკა წიგნებს აგროვებს. მას მხოლოდ წიგნის ზომა აინტერესებს. მისი სწრაფვაა პაწაწკინტელა წიგნების კოლექცია.

ამჟამად იულიუშ იანკას ბიბლიოთეკა 108 ტომისაგან შესდგება და ჩვეულებრივი წიგნის ერთ ფუტლარში თავსდება. ამ კოლექციაში ყველაზე ძველი — რელიგიური შინა-



ნახატი-ხუმრობები

არსიის ლათინური წიგნია, რომელიც 1687 წელსაა გამოცემული. ამ შესანიშნავი ბიბლიოთეკის წიგნების მეტი ნაწილი ახალია. ყველაზე პაწია წიგნი, რომლის ზომა 5 X 5 მილიმეტრია, შეიძლება შეიფუთოს საფოსტო მარკაში. „ახალი აღთქმის" ინგლისური სპეციალური გამოცემა, ზომით 1,4 X 1,6 სმ, შეიცავს 1200 ნაბეჭდ გვერდს. არაბული ყურანი (დაიბეჭდა პრაღაში), რომელიც ვერცხლით მოჭედილ ყდაშია ჩასმული, ზომით 2,6 X 3,8 სანტიმეტრია.

იულიუშ იანკას კოლექციაში ნახავთ შექსპირის, დიკენსის, შილერის, გოეთეს, ჰაინეს, სტენდალის, ლაფონტენისა და სხვათა ნაწარმოებებს. ეს მინიატურული გამოცემები ჩასმულია ტყავის, აბრეშუმის ან ტილოს ყდებში. ზოგიერთ მათგანს გამადიდებელი შუშაც კი აქვს გამობმული ტექსტის წასაკითხად.

ორფერში დაბეჭდილი მ. გორკის ნოველები, 45 ენაზე თარგმნილი ტ. შევჩენკოს „ანდერძი", მოსკოვში. ვარშავაში, პრაღაში, ბუდაპეშტში, რომში, ბერლინში და ნიუიორკში გამოცემული პაწაწკინტელა წიგნები... ამ უნიკალურ კოლექციაში ლაიპციგი მთელი ბიბლიოთეკითაა წარმოდგენილი. სხვათა შორის, ლაიპციგში დაიბეჭდა მარქსისა და ენგელსის „კომუნისტური მანიფესტი", რომლის ზომაა 4 X 5 სმ და 470 გვერდს შეიცავს.

ამ მინიატურულ წიგნებს სტამბაში ხელით აწყობენ და ოფსეტის წესით იბეჭდება. ეს გამოცემები რაიმე მნიშვნელოვან თარიღთან ან მოვლენასთან დაკავშირებით გამოდის ხოლმე, და ისიც, ძალიან მცირე ტირაჟით.

## მსოფლიოში ყველაზე დიდი დაფდაფი

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქ მარკნეიკირხენის მუსიკალური ინსტრუმენტების მუზეუმში მრავალი საოცარი ექსპონატია გამოფენილი. ერთი მათგანია მსოფლიოში ყველაზე დიდი დაფდაფი.

## როგორ წარმოიშვა სიტყვა „სტადიონი"

სტადიონი! რამდენჯერ ვიტყვით ხოლმე ამ სიტყვას და ერთხელაც არ დავფიქრდებით იმაზე, თუ როგორ წარმოიშვა იგი. სიტყვა „სტადიონს" კი საინტერესო ისტორია აქვს.

ძველ საბერძნეთში ოლიმპიურ თამაშებზე პირველ ხანებში შეჯიბრების მხოლოდ ერთი სახე — სირბილი იყო. როგორც კი გადაუვლიდა საყვირის ხმა უზარმაზარ არენას, ყველაზე ფეხმარდი ჭაბუკები ადგილს მოსწყდებოდნენ ხოლმე და სარბენ ბილიკზე გაიჭრებოდნენ. იმ დროს გასარბენი მანძილი ისეთი როდი იყო, როგორიც ახლაა. იგი სტადიით იზომებოდა.



სტადიის საფუძვლად იღებდნენ იმ ქალაქის ქურუმის ტერფის სიგრძეს, სადაც შეჯიბრება ტარდებოდა. არენაზე ექვსასჯერ გადაზომავდნენ ქურუმის ტერფის სიგრძეს — ეს იყო გასარბენი მანძილი. რადგან ყველა ქურუმს ერთი და იგივე სიგრძის ტერფი არ ჰქონდა, ამიტომ სტადიის სიგრძეც არ იყო ყოველთვის ერთი და იგივე, იგი 174-სა და 230 მეტრს შორის მერყეობდა.

გავიდა მრავალი საუკუნე, შემოღებული იქნა სიგრძის სხვა საზომები, მაგრამ გასარბენი მანძილის ძველი სახელწოდება — სტადია — შევიდა სიტყვაში „სტადიონი", რომელიც ერთნაირად ჟღერს მსოფლიოს მრავალ ენაზე.

## მოძრავი აეროდრომი

თანამედროვე თვითმფრინავებს უკვე ვერ ჰყოფნით სამი კილომეტრი სიგრძის დასაფრენი ბილიკი. მაშ, აფრენისა და დაფრენის სიჩქარის შემდგომ ზრდასთან ერთად აეროდრომებიც უფრო გრძელი უნდა იყოს?

ამერიკელმა გამომგონებელმა დე-ფილიპსმა ასეთი გონებამახვილური იდეა წამოაყენა: ასაფრენ-დასაფრენი ბილიკის ნაწილი უნდა იყოს მოძრავი—თვითმფრინავთან ერთად უნდა „გაიქცეს" საპირისპირო მიმართულებით. თვითმფრინავისა და ბილიკის სიჩქარე ერთნაირი რომ იქნება, თვითმფრინავი მალე მოსწყდება მიწას. მხოლოდ საჭიროა ბილიკის „რბენის" სიჩქარე თვითმფრინავის რბენის სიჩქარის შესაბამისად იზრდებოდეს; მიწაზე დაჯდომის დროს კი —პირიქით.

იდეა არ არის ცუდი. ოღონდ, განხორციელდება თუ არა იგი, ამის თქმა ძნელია.

## ფული და კოლექციონერები

ამას წინათ გერმანულ გაზეთ „ბერლინერ ცაიტუნგში» გაჩნდა უჩვეულო ცნობა: ამერიკის შეერთებულ შტატებში ლითონის ფულის ფასმა იმატა, — ქაღალდის დოლარს მხოლოდ 97 ცენტად ახურდავებენ. ამბობენ, რომ წკრიალა მონეტების ნაკლებობა კოლექციონერების ბრალია. ზოგიერთი მონეტა, კერძოდ, რომელზედაც გამოსახულია კენედი — სრულიად გაქრა ბრუნვიდან.



დემოკრატიული ქვეყნების სახალხო გაზეთებიდან.

# თავშესაქცევი

## კროსვორდი



**ჰორიზონტალურად:** 2. ორპირი ანუ...; 4. ქალაქი ჩინეთში; 5. მაგარი ანუ...; 6. ა. წერეთლის პოემა „გამზრდელის“ ერთ-ერთი გმირი; 10. დიდი ქართველი მოქანდაკე; 13. განხეთქილების ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 14. ზ. ფალიაშვილის ოპერა; 15. ინგლისელი მოგზაური, ანტარქტიდის მკვლევარი; 16. რუსული კინოფილმი; 17. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 18 კონტინენტი; 19. მუსიკალური ინსტრუმენტი; 21. სიყვარულის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 22. სუბტროპიკული მცენარე; 23. სასმისი; 24. ქართული ანბანის ერთ-ერთი ასო; 25. მხარე სსრ კავშირში; 26. გარეული ცხოველი; 30. დიდი ქართველი პოეტის სახელი; 32. ერთ-ერთი დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქი; 33. ერთ-ერთი ავადმყოფობა; 35. ჩეხი მწერალი; 36. გარეული ფრინველი; 37. ჯავშნიანი ქვეწარმავალი; 38. დიდი აზერბაიჯანელი პოეტი; 39. რუსი მთავარი, ისტორიული პიროვნება; 40. დიდი ოსი მწერლის სახელი; 41. თანამედროვე მუსიკალური ხელოვნების ერთ-ერთი სახე; 42. გარეული ცხოველი; 43. ლიტერატურული ჟანრი.

**ვერტიკალურად:** 1. ხილი; 2. მხატვრული ან მუსიკალური ნაწარმოების ნაწილი; 3. ხმის აწევ-დაწევა მეტყველების დროს; 7. მდინარე ციმბირში; 8. ყვავილი; 9. დიდი ქართველი მხატვარი; 11. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში; 12. შინაური ცხოველი; 16. დიდი იტალიელი კომპოზიტორი; 20. ძველი თბილისის უბანი; 27. ერთ-ერთი ისტორიული ბრძოლის ადგილი საქართველოში; 28. მხატვრის ხელსაწყო; 29. დიდი რუსი მხატვარი; 31. ბიზეს ოპერა; 34. ვეფხვების ერთ-ერთი ცნობილი მომთვინიერებელი ქალის სახელი.

**ვ. ჩხვიმიანი,**
მესტიის რ-ნის სოფ. ჰუბერის საშ. სკოლის მოსწავლე.



## თავსატეხი

აქ მოცემული ფიგურა დასჭერით და დაალაგეთ ისე, რომ მიიღოთ კვადრატი.

## პასუხი მე-6 ნომერში მოთავსებულ „თავშესაქცევზე“

### კროსვორდი

1. გურგენიძე; 2. ტალი; 3. ფიშერი; 4. ბორისენკო; 5. ბიკოვა; 6. ტოგონიძე; 7. ნედელკოვიჩი; 8. სპასკი; 9. კუშნირი; 10. ბოტვინიკი; 11. პეტროსიანი; 12. ვოლპერტი; 13. ნიკოლაუ.

ამ გვარების ჰორიზონტალურ უჯრედებში ჩაწერის შემდეგ, მსხვილი ხაზებით გამოყოფილ ვერტიკალურ სვეტში მიიღება ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის გვარი —**გაფრინდაშვილი**.

### ჯაჭვის გამრთელება

დავალების შესასრულებლად შეიძლება გაიხსნას მხოლოდ სამი რგოლი, ესე იგი მთლიანად დაიშალოს ერთი ნაწყვეტი და ამ რგოლებით შეერთდეს ჯაჭვის დანარჩენი ოთხი ნაწყვეტი.

გარეკანის პირველ გვერდზე — „პატარა მწყემსი“, ფოტო დავით იაკობაშვილისა.

რედაქტორი ბაბულია შელია
სარედაქციო კოლეგია: ფილიპე ბერიძე, შოთა გაბელაია, ნოდარ გურაბანიძე, ჯუანშერ კვარაცხელია, სერგო კლდიაშვილი, მურმან ლებანიძე, ზურაბ ლეჟავა (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, თენგიზ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (სამხატვრო რედ.).

ჩვენი მისამართი: თბილისი, პლეხანოვის 91
ტელეფონები: რედაქტორის—5-17-76
საერთო—5-07-43

„ПИОНЕРИ“, На грузинском языке. Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 91.
გამომცემლობა ინაკადულია. უე 03295 ტირ. 35.000. პირ. ფორ. რაოდ. 4 1/2, ფიზ. ფორ. რაოდ. 2.
ხელმოწერ. დასაბ. 22 VI-65 წ. სტამბის შეკვ. 1887. გამომც. შეკვ. 381. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა № 1
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

ფასი 20 კაპიკი

# მექანიკური ძაღლი

გააკეთე პატარებისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს „ტაქსა“ (ტაქსა—ძაღლის ერთ-ერთი ჯიშია) უეჭველად დიდ სიამოვნებას მოჰგვრის პატარებს.

საკმარისია, მასზე მობმულ ბაწარს გამოსწიოთ, რომ ტაქსა სასაცილოდ ააქიცინებს კუდს, ააბარტყუნებს ტყავის გრძელ ყურებს და იწყებს ხიარულს ხის თათებით.

ასეთი მექანიკური ძაღლი გააკეთეს ქალაქ ორეხოვო-ზუევოს მე-20 სკოლის მეხუთე-მეექვსეკლასელებმა.

ძაღლის ტანი შესდგება ერთმანეთს შეწებებული სამი ძირითადი ნაწილისაგან: ორი ერთნაირი გვერდისა და ზურგისაგან. ზურგი წარმოადგენს მთლიანი ხის ძელაკს, რომელსაც აქვს ჭრილები ძაფის კოჭისებური თვლებისათვის. ჭრილები ისეა გაკეთებული, რომ მათში თვლები თითქმის არ ჩანს. თვლებში გაყრილია მავთულის პედალები სწორკუთხა თამასა-თათებიანად. ამ უკანასკნელებსა და გვერდებზე, პაწაწინა ლურსმნებით, მიმაგრებულია თასმები. კუდი — წვრილი ზამბარაა, რომელზედაც ერთიმეორეზე ჩამოცმულია ხის ოთხი ნაჭერი.

თავი და კისერი გამოჩარხულია სახარატო დაზგაზე და მჭიდროდაა მორგებული რეზინის ღერძზე.

ძაღლი მუქ-ყავისფრადაა შეღებილი, საყელური თეთრი ფერისაა, ცხვირი — შავი, თვალის გუგები — ლურჯი, ხოლო თვალის გარსი — თეთრია.



ИНДЕКС
76157



ეროვნული ბიბლიოთეკა

სომბრეროს გამყიდველი.

ფეხსაცმლების მწმენდავი.






საუბარი.

მხატვარი
თენგიზ სამსონაძე